

1962



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 26 (186)

20 სექტემბერი

1962 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები


განყოფილება პირველი

- 403. 1962 წლის საერთაშორისო შეთანხმება ხორბლის შესახებ.
- 404. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფოებს შორის ოფიციალურ გამოცემათა და მთავრობის დოკუმენტთა გაცვლის თაობაზე დადებული კონვენციის და გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის თაობაზე დადებული კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.
- 405. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაწესებული მედლის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში დამატების შეტანის შესახებ.

8782

განყოფილება მეორე

- 406. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვერტმფრინავების მთავარი კონსტრუქტორის ან. ნ. ი. კაპოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 407. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ი. თ. ჩიგირინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 408. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ მ. დ. შოშინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 409. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ა. მ. კირხენშტეინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 410. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ან. ს. ა. აფანასიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.





411. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სსრ მთავრობებისა და აკადემიის აკადემიკოსის ა. პ. ჩეკმარიოვის შრომის წითელი დროშის დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

- 412. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
- 413. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად აშხ. თ. ა. ქავთარაძის დანიშვნის შესახებ.



სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრედიტული ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანკოფილია პირველი

403 1962 წლის საერთაშორისო შეთანხმება ხორბლის შესახებ

მთავრობები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას, მხედველობაში ღებულობენ რა, რომ 1949 წლის საერთაშორისო შეთანხმება ხორბლის შესახებ გადაისინჯა და განახლდა 1953, 1956 და 1959 წლებში, და

მხედველობაში ღებულობენ რა, რომ 1959 წლის საერთაშორისო შეთანხმებას ხორბლის შესახებ ვადა გასდის 1962 წლის 31 ივლისს და რომ სასურველია მომდევნო პერიოდისათვის დაიდოს ახალი შეთანხმება, შეთანხმდნენ ქვემოთყვანილზე:

ნაწილი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

მიზნები

ამ შეთანხმების მიზნებია:

a) უზრუნველყოს, რომ ექსპორტიორმა ქვეყნებმა სამართლიან და მყარ ფასებში მიიწოდონ ხორბალი და პურის ფქვილი ხორბლისა და პურის ფქვილის იმპორტიორ ქვეყნებს და გასაღების ბაზრებს;

b) ხელი შეუწყოს ხორბლითა და პურის ფქვილით საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას და უზრუნველყოს ასეთი ვაჭრობის ყველაზე უფრო თავისუფალი განვითარება როგორც ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი ქვეყნების ინტერესებისათვის და ამრიგად დაეხმაროს იმ ქვეყნების განვითარებას, რომელთა სახალხო მეურნეობა დამოკიდებულია ხორბლის კომერციულ გაყიდვაზე;

c) გადალახოს ის სერიოზული სიძნელეები, რომლებიც ექმნებათ ხორბლის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს ხორბლის დამამიძიებელი ქარბი შარავის დაგროვებისა ან მწვავე ნაკლებობის შედეგად;

d) ხელი შეუწყოს ხორბლისა და პურის ფქვილის გამოყენებისა და მოხმარების გაფართოებას საერთოდ და კერძოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც ვითარდებიან, რათა გაუმჯობესდეს ამ ქვეყნების მოსახლეობის კვება და ჯანმრთელობა, რითაც ამრიგად დაეხმარება მათ განვითარებას; და

e) საერთოდ ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ხორბლის მსოფლიო ბაზრის პრობლემების გადაჭრაში, ამასთან გაითვალისწინოს ის ზეგავლენა, რომელსაც ხორბლით ვაჭრობა ახდენს სხვა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზრების სტაბილურობაზე.

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

a) „ფასების ექვივალენტების კონსულტაციური კომიტეტი“ ნიშნავს კომიტეტს, რომელიც შექმნილია 31 მუხლის თანახმად;

b) „ვალდებულების ნაშთი“ ნიშნავს ხორბლის იმ რაოდენობას, რომელიც ვალდებულია მისცეს ექსპორტიორმა ქვეყანამ იმ ფასად, რომელიც არ აღემატება მაქსიმალურს, 5 მუხლის თანახმად, ე. ი. იმპორტიორი ქვეყნების მიმართ ამ ქვეყნის საბაზისო რაოდენობასა და ამ ქვეყანაში იმპორტიორი ქვეყნების ნამდვილ კომერციულ შესყიდვებს შორის არსებულ სხვაობას ამ სასოფლო-სამეურნეო წლის შესაბამისი პერიოდისათვის;

c) „უფლების ნაშთი“ ნიშნავს ხორბლის იმ რაოდენობას, რომელიც უფლება აქვს იყიდოს იმპორტიორმა ქვეყანამ იმ ფასად, რომელიც 5 მუხლის თანახმად არ აღემატება მაქსიმალურს, ე. ი. კონტექსტის მიხედვით, შესაბამისი ექსპორტიორი ქვეყნის ან ქვეყნების მიმართ ამ ქვეყნის საბაზისო რაოდენობასა და ამ ქვეყნებში მის ნამდვილ კომერციულ შესყიდვებს შორის არსებულ სხვაობას ამ სასოფლო-სამეურნეო წლის შესაბამისი პერიოდისათვის;

d) „ბუშელი“ ნიშნავს სამოც ინგლისურ გირვანქას, ანუ 27,2155 კილოგრამს;

e) „შენახვის ხარჯები“ შეიცავს საწყობში არსებული ხორბლის საწყობში მოთავსების, დაკრედიტებისა და დაზღვევის ხარჯებს;

f) „დამოწმებული სათესლე ხორბალი“ ნიშნავს ხორბალს, რომელიც, როგორც ასეთი, ოფიციალურად იყო დამოწმებული წარმოშობის ამა თუ იმ ქვეყანაში მიღებული პრაქტიკის თანახმად და რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში დამტკიცებულ სტანდარტულ სპეციფიკაციებს სათესლე ხორბლის მიმართ;

გ) „ტაშ“ ნიშნავს საქონლის ღირებულებასა და ფრახტს;

h) „საბჰო“ ნიშნავს ხორბლის საერთაშორისო საბჰოს, რომელიც შექმნილია ხორბლის შესახებ 1949 წელს დადებული საერთაშორისო შეთანხმების თანახმად და შენარჩუნებულია 25 მუხლის შესაბამისად;

i) „სასოფლო-სამეურნეო წელი“ ნიშნავს პერიოდს 1 აგვისტოდან 31 ივლისამდე;

j) „საბაზისო რაოდენობა“ ნიშნავს:

i) ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ — რამდენიმე წლის მანძილზე იმპორტიორი ქვეყნების მიერ ამ ქვეყანაში ხორბლის საშუალო წლიურ კომერციულ შესყიდვებს, რომლებიც განისაზღვრება 15 მუხლის შესაბამისად;

ii) იმპორტიორი ქვეყნის მიმართ — რამდენიმე წლის მანძილზე ექსპორტიორ ქვეყნებში ან რომელიმე კონკრეტულ ექსპორტიორ ქვეყანაში, კონტექსტის მიხედვით, საშუალო წლიურ კომერციულ შესყიდვებს, რომლებიც განისაზღვრება 15 მუხლის შესაბამისად;

კ) „აღმასრულებელი კომიტეტი“ ნიშნავს კომიტეტს, რომელიც შექმნილია 30 მუხლის თანახმად;

l) „ექსპორტიორი ქვეყანა“ ნიშნავს, კონტექსტის მიხედვით, ან
i) B დანართში აღნიშნული ქვეყნის მთავრობას, რომელმაც მიიღო ეს შეთანხმება ან შეუერთდა მას და არ გასულა მის მონაწილეთა შემადგენლობიდან, ან

ii) ქვეყანას და მის ტერიტორიებს, რომლებზეც ვრცელდება მისი მთავრობის უფლება-ვალდებულებანი ამ შეთანხმების მიხედვით;

m) „ფაბ“ ნიშნავს სამართლიან საშუალო ხარისხს;

n) „ფოზ“ ნიშნავს ფრანკო საოკეანო ან საზღვაო ზომალდს, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, ხოლო რეინის ნავსადგურებიდან მიწოდებული ფრანგული ხორბლისათვის — ფრანკო სამდინარეო ზომალდს;

o) „იმპორტიორი ქვეყანა“ ნიშნავს, კონტექსტის მიხედვით, ან

i) C დანართში აღნიშნული ქვეყნის მთავრობას, რომელმაც მიიღო ეს შეთანხმება ან შეუერთდა მას და არ გასულა მის მონაწილეთა შემადგენლობიდან, ანდა

ii) ქვეყანასა და მის ტერიტორიებს, რომლებზეც ვრცელდება მისი მთავრობის უფლება-ვალდებულებანი ამ შეთანხმების მიხედვით;

p) „სავაჭრო ხარჯები“ ნიშნავს გასაღების, დაფრახტვისა და გაგზავნის ყველა ჩვეულებრივ ხარჯს;

q) „მაქსიმალური ფასი“ ნიშნავს მაქსიმალურ ფასებს, აღნიშნულთ 6 ან 7 მუხლებში, ანდა განსაზღვრულთ 6 და 7 მუხლების თანახმად, ან კიდევ ამ ფასებიდან ერთ-ერთს, კონტექსტის მიხედვით;

r) „განცხადება მაქსიმალური ფასის შესახებ“ ნიშნავს განცხადებას, რომელიც გაკეთებულია 13 მუხლის შესაბამისად;

s) „მეტრული ტონა“ ანუ 1000 კილოგრამი, ნიშნავს 36,74371 ბუშელს;

t) „მინიმალური ფასი“ ნიშნავს მინიმალურ ფასებს, აღნიშნულთ 6 და 7 მუხლებში, ანდა განსაზღვრულთ 6 და 7 მუხლების თანახმად, ან კიდევ ამ ფასებიდან ერთ-ერთს, კონტექსტის მიხედვით;

u) „ფასების დაწესებული ფარგლები“ ნიშნავს ფასებს მაქსიმალურ და მინიმალურ ფასებს შორის, როგორც ეს აღნიშნულია 6 და 7 მუხლებში ან განსაზღვრულია 6 და 7 მუხლების თანახმად, მინიმალური ფასების ჩათვლით, მაგრამ მაქსიმალური ფასების გამოკლებით;

v) „შესყიდვა“ ნიშნავს იმპორტისათვის იმ ხორბლის შესყიდვას, რომლის ექსპორტი ხდება ან რომელიც ექსპორტისათვის განკუთვნილია ექსპორტიორი ქვეყნიდან ან რომელიმე სხვა არაექსპორტიორი ქვეყნიდან, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, ანდა ამდაგვარად შეძენილი ხორბლის რაოდენობას, კონტექსტის მიხედვით.

ამ შეთანხმების ის მუხლები, რომლებშიც ლაპარაკია შესყიდვაზე, უნდა გავიგოთ ისე, რომ ეს ტერმინი ეხება არა მარტო დაინტერესებულ მთავრობებს შორის გარიგებებს, არამედ გარიგებებს კერძო ფირმებს შორისაც, აგრეთვე კერძო პირსა და დაინტერესებულ მთავრობას შორის. ამ შემთხვევაში ტერმინი „მთავრობა“ ნიშნავს ყოველი ტერიტორიის მთავრობას, თუ ამ ტერიტორიაზე

37 მუხლის თანახმად ვრცელდება უფლება-ვალდებულებანი ყოველი მთავრობისა, რომელიც ღებულობს ამ შეთანხმებას ან შეურთდება მას;

W) „ტერიტორია“ ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის მიმართ ყოველ ტერიტორიას, რომელზედაც ვრცელდება ამ ქვეყნის მთავრობის უფლება-ვალდებულებანი, ნაკისრნი ამ შეთანხმებით, თანახმად 37 მუხლისა; და
X) „ხორბალი“ ნიშნავს ყოველი სახეობის, კლასის, ტიპის ან ხარისხის მარცვალ ხორბალს და, 6 მუხლის გამოკლებით, პურის ფქვილს.

2. პურის ფქვილის შესყიდვების ყველა გადაანგარიშება მარცვალზე უნდა ხდებოდეს ექვივალენტების მიხედვით დაფქვის იმ პროცენტის ბაზაზე, რომელიც ურთიერთ შეთანხმებით აღნიშნულია გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებულ კონტრაქტში. თუ კონტრაქტში ასეთი ექვივალენტი აღნიშნული არ არის და საბჭო სხვანაირად არ გადაწყვეტს, პურის ფქვილის წონის სამოცდათორმეტი ერთეული, ასეთი გამოანგარიშების მიზნით, უნდა მივიჩნიოთ მარცვალ ხორბლის წონის ას ერთეულად.

მუხლი 3

კომერციული შესყიდვები და სპეციალური გარიგებანი

1. ამ შეთანხმების კონტექსტში კომერციული შესყიდვა არის ისეთი შესყიდვა, რომელიც უპასუხებს 2 მუხლში მოცემულ განსაზღვრას და შეესაბამება ჩვეულებრივ კომერციულ პრაქტიკას საერთაშორისო ვაჭრობაში, ამ მუხლის 2 პუნქტში მოხსენიებულ გარიგებათა გამოკლებით.

2. ამ შეთანხმების კონტექსტში სპეციალური გარიგება არის ისეთი გარიგება, რომელიც იმისგან დამოუკიდებლად, სცილდება თუ არა ფასები დაწესებულ ფარგლებს, იმის გამო, რომ ასეთი გარიგების დადებაში მონაწილეობს დაინტერესებული მხარის მთავრობა, შეიცავს განსაკუთრებულ პირობებს, შეუსაბამოთ ჩვეულებრივ კომერციულ პრაქტიკასთან. სპეციალური გარიგებათა კატეგორიას განეკუთვნება შემდეგი გარიგებანი:

a) გაყიდვა კრედიტის პირობებში, როცა მთავრობის მონაწილეობის შედეგად პროცენტული განაკვეთი, გადასახდელის ვადა ან სხვა პირობები არ შეესაბამებიან მსოფლიო ბაზარზე არსებულ კომერციულ განაკვეთებს, ვადებს ან პირობებს;

b) გაყიდვა, როცა ხორბლის გამოსყიდვა ხდება იმ სესხის ანგარიშზე, რომელიც ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობამ მისცა ხორბლის შესასყიდად;

c) გაყიდვა იმპორტიორი ქვეყნის ვალუტაზე, რომელიც ექსპორტიორ ქვეყანაში ვალუტად ან გამოსაყენებელ საქონლად ვერ გადაიქცევა;

d) გაყიდვა სავაჭრო შეთანხმებებით, თუ შეთანხმებაში ვათვალისწინებულია განსაკუთრებული საგადასახდელი პირობები, რომლებიც შეიცავენ საკლირინგო ანგარიშებს, ამასთან საქონელგაცვლის გზით ორმხრივად არეგულირებენ საკრედიტო სალდოს, გარდა ამ შემთხვევებისა, როცა დაინტერესებული ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები შეთანხმდებიან იმაზე, რომ გაყიდვა უნდა ჩაითვალოს კომერციულად;

ე) საბარტერო გარიგებანი,

- ი) რომლებიც დაიდება მთავრობათა მონაწილეობით და რომლის დროსაც ხორბალი საქონელგაცვლის გარიგებით მიეცემა მსოფლიო ბაზარზე არსებულისაგან განსხვავებულ ფასად, ან
- იი) რომლებიც დაიდება შესყიდვების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა ხორბლის შესყიდვა წარმოადგენს საბარტერო გარიგების საგანს, რომლის დროსაც საბოლოო დანიშნულების ქვეყანა ნაჩვენები არ არის თავდაპირველ საბარტერო ხელშეკრულებაში;

ი) ხორბლის მიცემა საჩუქრის სახით ან ხორბლის შესყიდვა იმ სახსრებიდან, რომლებიც ექსპორტიორმა ქვეყანამ ამ მიზნით უსასყიდლოდ მისცა;

ვ) საბჭოს მიერ განსაზღვრულ ყოველ სხვა გარიგებათა კატეგორიები, რომლებიც შეიცავენ განსაკუთრებულ პირობებს, შეუსაბამოთ ჩვეულებრივ კომერციულ პრაქტიკასთან იმის გამო, რომ ასეთი გარიგებების დადებაში მონაწილეობს დანიტრესებული ქვეყნის მთავრობა.

3. თუ აღმასრულებელი მდივანი ანდა რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა აყენებს საკითხს, წარმოადგენს თუ არა მოცემული გარიგება კომერციულ შესყიდვას ამ მუხლის 1 პუნქტის განსაზღვრის თანახმად ან სპეციალურ გარიგებას ამ მუხლის 2 პუნქტის განსაზღვრის თანახმად, გადაწყვეტილებას გამოიტანს საბჭო.

ნაწილი II

უფლება-ვალდებულებანი

მუხლი 4

შესყიდვები ფასების დაწესებულ ფარგლებში

1. თითოეული იმპორტიორი ქვეყანა კისრულობს ყოველი სასოფლო-სამეურნეო წლის მანძილზე ექსპორტიორ ქვეყნებში ფასების დაწესებულ ფარგლებში შეისყიდოს სულ ცოტა იმ რაოდენობის ხორბალი, რომელიც ამ ქვეყნისათვის მის საერთო კომერციულ შესყიდვებთან პროცენტული შეფარდებით აღნიშნულია A დანართში, და ექსპორტიორი ქვეყნისაგან აწარმოოს ხორბლის ყველა დამატებითი კომერციული შესყიდვაც ფასების დაწესებულ ფარგლებში, თუ ძალაში არ არის განცხადება მაქსიმალური ფასის შესახებ რომელიმე ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ; ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 5 მუხლის დებულებები.

2. ექსპორტიორი ქვეყნები ერთობლივად კისრულობენ ვალდებულებას, რომ ყოველი სასოფლო-სამეურნეო წლის მანძილზე ფასების დაწესებულ ფარგლებში იმპორტიორ ქვეყნებს შესასყიდად მიაწოდონ ხორბალი იმ რაოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება მათ კომერციულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, თუ ძალაში არ არის განცხადება მაქსიმალური ფასის შესახებ ერთ-ერთი ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ; ასეთ შემთხვევაში ამ ქვეყნის მიმართ გამოიყენება 5 მუხლის დებულებანი.

3. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, მე-5 მუხლის დებულებათა ვალდებულებით, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო წელს ექსპორტიორი ქვეყნის წარმომოშობის ყოველი ხორბალი, რომელიც იმპორტიორი ქვეყნისაგან შეისყიდება იმპორტიორმა ქვეყანამ, განხილულ იქნება როგორც შესყიდვა, რომელიც მეორე იმპორტიორმა ქვეყანამ აწარმოვა ამ ექსპორტიორ ქვეყანაში. მხედველობაში ვიღებთ რა 19 მუხლის დებულებებს, ეს პუნქტი გამოიყენება პურის ფქვილის მიმართაც, თუ კი იგი შესაბამისი ექსპორტიორი ქვეყნის წარმომოშობისაა.

მუხლი 5

შესყიდვები მაქსიმალურ ფასში

1. თუ საბჭო ვაკეთებს განცხადებას მაქსიმალური ფასის შესახებ რომელიმე ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ, მაშინ ამ ქვეყანამ იმპორტიორ ქვეყნებს უნდა მიაწოდოს შესასყიდად თავისი ვალდებულების ნაშთი ამ იმპორტიორი ქვეყნების მიმართ იმ ფასად, რომელიც არ აღემატება მაქსიმალურს. ვალდებულების ნაშთის ეს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ყოველი იმპორტიორი ქვეყნის უფლების ნაშთს ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ.

2. თუ საბჭო აკეთებს განცხადებას მაქსიმალური ფასის შესახებ ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ, მაშინ თითოეულ იმპორტიორ ქვეყანას მაქსიმალური ფასის შესახებ განცხადების მოქმედების განმავლობაში უფლება აქვს:

ა) შეისყიდოს ექსპორტიორი ქვეყნებისაგან მისი უფლების ნაშთი ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ ფასებში, რომლებიც არ აღემატება მაქსიმალურს, და

ბ) შეისყიდოს ხორბალი რომელიმე სხვა ქვეყანაში; ეს განხილული არ იქნება როგორც 4 მუხლის 1 პუნქტის დარღვევა.

3. თუ საბჭო აკეთებს განცხადებას მაქსიმალური ფასის შესახებ ერთი ან რამდენიმე ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ, მაგრამ არა ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ, მაშინ თითოეულ იმპორტიორ ქვეყანას მაქსიმალური ფასის შესახებ განცხადების მოქმედების განმავლობაში უფლება აქვს:

ა) შეისყიდოს ხორბალი ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად ერთ ან რამდენიმე ამ ექსპორტიორ ქვეყანაში და ფასების დაწესებულ ფარგლებში შეისყიდოს მისი კომერციულ მოთხოვნილებათა ნაშთი სხვა ექსპორტიორ ქვეყნებში;

ბ) შეისყიდოს ხორბალი რომელიმე სხვა ქვეყანაში, და ეს არ იქნება განხილული როგორც 4 მუხლის 1 პუნქტის დარღვევა, იმპორტიორის უფლების ნაშთის ოდენობით ამ ერთი ან რამდენიმე ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ მაქსიმალური ფასის შესახებ განცხადების თარიღისათვის იმ პირობით, რომ ასეთი ნაშთი არ აღემატება მისი უფლების ნაშთს ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ.

4. თითოეული იმპორტიორი ქვეყნის შესყიდვები რომელიმე ექსპორტიორ ქვეყანაში ამ იმპორტიორი ქვეყნის უფლების ნაშთს ზევით ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ ამ მუხლით არ ამცირებს ამ ექსპორტიორი ქვეყნის ვალდებუ-

ლებებს. 4 მუხლის 3 პუნქტის დებულებანი გამოიყენება აგრეთვე ამ მუხლის მიმართ იმ პირობით, რომ ყოველი იმპორტიორი ქვეყნის უფლების ნაშთი, ხე-
ლა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ ამით არ იქნება გადამეტებული.

5. იმპორტიორი ქვეყნის მიერ 4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად დადგენილ პროცენტული ვალდებულების შესრულების განსაზღვრისას მაქსიმალური ფასის შესახებ განცხადების მოქმედების პერიოდში, ამ მუხლის 2 „ბ“ და 3 „ბ“ პარაგრაფების დამატებითი შენიშვნების გამოკლებით,

ა) მხედველობაში მიიღება შესყიდვები, რომლებიც წარმოებს ყოველ ექსპორტიორ ქვეყანაში იმ ექსპორტიორი ქვეყნის ჩათვლით, რომლის მიმართაც გაკეთებული იყო განცხადება, და

ბ) სრულებით არ იქნება გათვალისწინებული ის შესყიდვები, რომლებიც ნაწარმოებია რომელიმე არაექსპორტიორ ქვეყანაში.

მუხლი 6

ხორბლის ფასები

1. ა) მინიმალურ და მაქსიმალურ საბაზისო ფასებს ამ შეთანხმების მოქმედების პერიოდში წარმოადგენს

მინიმალურს , 1,62 1/2 დოლარი,

მაქსიმალურს 2,02 1/2 დოლარი

კანადის ვალუტით კანადის დოლარის პარიტეტის მიხედვით, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაადგინა 1949 წლის 1 მარტისათვის, ფორტ ვილიამპორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ერთი ბუშელი ნაყარი ხორბლისათვის. მინიმალური და მაქსიმალური საბაზისო ფასები და მათი ექვივალენტები, რომლებიც მოხსენიებული იქნება ქვემოთ, არ უნდა შეიცავდნენ შენახვის და ვაჭრობის ისეთ ხარჯებს, რომლებიც შეიძლება შეთანხმებულ იქნას მყიდველსა და გამყიდველს შორის.

ბ) მაქსიმალური ფასების დებულებათა მოქმედება არ ვრცელდება არც თავთუხზე, არც დამოწმებულ სათესლე ხორბალზე.

გ) შენახვის ხარჯები, მყიდველსა და გამყიდველს შორის შეთანხმებით, შეიძლება დაეწეროს მყიდველს მხოლოდ განსაზღვრული თარიღის შემდეგ, რომელიც ნაჩვენებია ხორბლის გაყიდვის კონტრაქტში.

2. ნაყარი ხორბლის ექვივალენტურ მაქსიმალურ ფასს წარმოადგენს:

ა) მანიტობა ჩრდილოეთურ № 1 ხორბლისათვის ვანკუვერის საწყობში — მაქსიმალური ფასი, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლის 1 პუნქტში ფორტ ვილიამპორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლისათვის;

ბ) მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ხორბლისათვის ფობ პორტ ჩერჩილის (მანიტობას პროვინცია) პირობებში, — ფასი, რომელიც ექვივალენტურია ჰაჰფ ფასისა დანიშნულების ქვეყანაში, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში ნაჩვენები ფორტ ვილიამპორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე, მო-

ცემული დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის გათვალისწინებით;

ც) არგენტინული ხორბლისათვის საოკეანო ნავსადგურების საწყობებში ამ მუხლის 1 პუნქტში ნაჩვენები ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასი, გადაანგარიშებული არგენტინულ ვალუტაზე მოცემულ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

დ) შპბ ავსტრალიური ხორბლისათვის საოკეანო ნავსადგურებში, ამ მუხლის 1 პუნქტში ნაჩვენები ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასი, გადაანგარიშებული ავსტრალიურ ვალუტაზე მოცემულ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

ე) ფრანგული ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფომბ საფრანგეთის ნავსადგურების ან ფრანკო საფრანგეთის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, — დანიშნულების ქვეყანაში ტაშ პირობებში ფასის ან დანიშნულების ქვეყანაში გასაგზავნი შესაბამისი ნავსადგურის ტაშ ფასის ექვივალენტურ ფასს, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე, მოცემული დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

ი) იტალიური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფომბ იტალიის ნავსადგურების ან ფრანკო იტალიის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, — დანიშნულების ქვეყანაში ტაშ ფასის ან დანიშნულების ქვეყანაში გასაგზავნი შესაბამისი ნავსადგურის ტაშ ფასის ექვივალენტურ ფასს, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე, მოცემულ დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

კ) ი) მექსიკური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფომბ მექსიკის ყურის ნავსადგურების ან ფრანკო მექსიკის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, — დანიშნულების ქვეყანაში ტაშ ფასის ექვივალენტური ფასი, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე, მოცემულ დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის

კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

ii) მექსიკური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით წყნარ ოკეანეზე მექსიკის ნავსადგურების საწყობების პირობებში — ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასი, გადაანგარიშებული მექსიკურ ვალუტაზე მოცემული დროისათვის გავრცელებული სავალუტო კურსის მიხედვით შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

h) ესპანური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფრანკო ესპანეთის ნავსადგურებისა ან ფრანკო ესპანეთის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, — დანიშნულების ქვეყანაში ტაშ ფასის ან დანიშნულების ქვეყანაში გასაგზავნი შესაბამისი ნავსადგურის ტაშ ფასის ექვივალენტურ ფასს, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე, მოცემული დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

i) შეედური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით სტოკჰოლმსა და გეტებორგს შორის ფრანკო ესპანეთის ნავსადგურების პირობებში, ამ ორივე ნავსადგურის ჩათვლით, — დანიშნულების ქვეყანაში ტაშ ფასის ექვივალენტური ფასი, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე, ამ დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

j) ჰევი დარკ ნორთერნ სპრინგ № 1 ხორბლისათვის დულუტი/ზემო ტბის საწყობის პირობებში — ამ მუხლის 1 პუნქტში ნაჩვენები ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასი, რომელიც გამოანგარიშებულია გავრცელებული სავალუტო კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

k) ჰარდ ვინტერ № 1 ხორბლისათვის ფრანკო ესპანეთის ნავსადგურები/აშშ ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურების პირობებში — დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ტაშ ფასის ექვივალენტური ფასი, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე, ამ დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექს-

პორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

1) სოფტ უაიტ № 1 ან ჰარდ ვინტერ № 1 ხორბლისათვის აშშ წყნარ ოკეანის ნავსადგურების საწყობის პირობებში — ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასი, რომელიც გამოანგარიშებულია გავრცელებული სავალუტო კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

iii) საბჭოთა სამხრეთული საშემოდგომო ხორბლისათვის ფრზ შავი ზღვის ან ბალტიის ნავსადგურების ან ფრანკო საბჭოთა საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, — დანიშნულების ქვეყანაში ტაშ ფასის ექვივალენტური ფასი, რომელიც გამოანგარიშებულია ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მაქსიმალური ფასის საფუძველზე ამ დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმების ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით.

3. ნაყარი ხორბლის ექვივალენტურ მინიმალურ ფასს:

- a) ფრზ ვანკუვერი მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ხორბლისათვის;
- b) ფრზ ნავსადგური ჩერჩილი, პროვინცია მანიტობა, მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ხორბლისათვის;
- c) ფრზ არგენტინა არგენტინული ხორბლისათვის;
- d) ფრზ ავსტრალიის პირობებში ფაბ ხორბლისათვის;
- e) მექსიკური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფრზ მექსიკის ნავსადგურების ან ფრანკო მექსიკის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით;
- f) ფრზ მექსიკის ყურის ნავსადგურები/აშშ ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურები ჰარდ ვინტერ № 1 ხორბლისათვის;
- g) ფრზ აშშ წყნარი ოკეანის ნავსადგურები სოფტ უაიტ № 1 ან ჰარდ ვინტერ № 1 ხორბლისათვის;
- h) ფრზ შავი ზღვის ან ბალტიის ნავსადგურები ან ფრანკო საბჭოთა საზღვარი საბჭოთა სამხრეთული საშემოდგომო ხორბლისათვის, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით;

წარმოადგენს შესაბამისად:

ფასი ფრზ ვანკუვერი, ნავსადგური ჩერჩილი, არგენტინის, ავსტრალიის, მექსიკის ნავსადგურები, მექსიკის ყურის ნავსადგურები/აშშ ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურები, აშშ წყნარი ოკეანის ნავსადგურები და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შავი ზღვისა და ბალტიის ნავსადგურები, ექვივალენტური დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ტაშ ფასისა, გამოანგარიშებული ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი



რი ხორბლის მინიმალური ფასის საფუძველზე ამ დროისათვის არსებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

i) პევი დარკ ნორთერნ სპრინგ № 1 ხორბლისათვის დულუტი/ზემო ტბის საწყობის პირობებში — ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მინიმალური ფასი, რომელიც გამოანგარიშებულია გავრცელებულ სავალუტო კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით;

j) ფრანგული ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფომბ საფრანგეთის ნავსადგურების ან ფრანკო საფრანგეთის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით;

k) იტალიური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფომბ იტალიის ნავსადგურების ან ფრანკო იტალიის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით;

l) ესპანური ხორბლისათვის ნიმუშის და აღწერილობის მიხედვით ფომბ ესპანეთის ნავსადგურების ან ფრანკო ესპანეთის საზღვრის პირობებში, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით;


iii) შვედური ხორბლისათვის ნიმუშისა და აღწერილობის მიხედვით ფომბ შვეციის ნავსადგურები სტოკჰოლმსა და გეტებორგს შორის, ორივე ამ ნავსადგურის ჩათვლით;

წარმოადგენს:

ფასი, ექვივალენტური ტაშ ფასისა დანიშნულების ქვეყანაში ან ტაშ ფასისა შესაბამის ნავსადგურში დანიშნულების ქვეყანაში მისაწოდებლად, გამოანგარიშებული ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფორტ ვილიამ/პორტ არტურის საწყობში მანიტობა ჩრდილოეთური № 1 ნაყარი ხორბლის მინიმალური ფასის საფუძველზე, ამ დროისათვის გავრცელებული სატრანსპორტო ხარჯებისა და ვალუტის კურსის, აგრეთვე შესაბამის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის შეთანხმებით ხარისხში განსხვავების დროს ფასის დაკლების გათვალისწინებით.

4. იმ პერიოდში, როცა ფორტ ვილიამ/პორტ არტურსა და ატლანტიკის სანაპიროს კანადის ნავსადგურებს შორის ნავიგაცია დაზარალდა, მაქსიმალური და მინიმალური ექვივალენტური ფასები განისაზღვრება, გამომდინარე ხორბლის მხოლოდ ტბებითა და რკინიგზებით გადაზიდვებიდან ფორტ ვილიამ/პორტ არტურიდან კანადის იმ ნავსადგურებამდე, რომლებიც ზამთარში ღია ნავიგაციისათვის.

5. აღმასრულებელ კომიტეტს ფასების ექვივალენტების კონსულტაციურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ შეუძლია განსაზღვროს ხორბლის მაქსიმალური და მინიმალური ფასების ექვივალენტები სხვა პუნქტებში, გარდა ზემოაღნიშნულისა, აგრეთვე განსაზღვროს ხორბლის ყოველი სხვა სახეობა, კლასი, ტიპი, კატეგორია და ხარისხი, გარდა ზემომოყვანილ 2 და 3 პუნქტებში





აღნიშნულია, და მათი მინიმალური და მაქსიმალური ფასების ექვივალენტები გათვალისწინებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხვა ხორბლის ფასების ექვივალენტი ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული, მისი მინიმალური და მაქსიმალური ფასები დროებით დადგინდება მინიმალური და მაქსიმალური ფასების საფუძველზე იმ სახეობათა, კლასების, ტიპების, კატეგორიებისა და ხარისხების განსაზღვრის შესაბამისად, რომლებიც აღნიშნულია ამ მუხლში ან შემდგომ განსაზღვრავს აღმასრულებელი კომიტეტი ფასების ექვივალენტების კონსულტაციურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, რომლებიც ყველაზე უფრო უახლოვდებიან ხორბლის აღწერილ ხარისხებს, ფასების შესაბამისი დამატების ან დაკლებას გზით.

6. თუ რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა აღმასრულებელ კომიტეტს განუცხადებს, რომ ამ მუხლის 2, 3 ან 5 პუნქტების თანახმად დადგენილი რომელიმე ექვივალენტური ფასი არ შეესაბამება ნამდვილ ექვივალენტს მიმდინარე სატრანსპორტო ტარიფების ან ვალუტის კურსის, ან საბაზრო დანამატების ან ფასების დაკლების ცვლილებებთან დაკავშირებით, მაშინ აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ეს საკითხი და კონსულტაციურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ შეიტანოს ისეთი შესწორებები, რომლებსაც იგი სასურველად ჩათვლის.

7. ამ მუხლის 2, 3, 5 ან 6 პუნქტების თანახმად მინიმალური და მაქსიმალური ფასების ექვივალენტების განსაზღვრის დროს, და 16 მუხლის იმ დებულებათა დაცვისას, რომლებიც თავთუხსა და დამოწმებულ სათესლე ხორბალს ეხებიან, არ მიეცემა არავითარი კომპენსაცია განსხვავებისათვის ხარისხში, რომლის შედეგადაც ყოველი ხარისხის ხორბლის მინიმალური და მაქსიმალური ფასის ექვივალენტი იქნებოდა უფრო მაღალი, ვიდრე ხორბლის საბაზისო მინიმალური და მაქსიმალური ფასები, შესაბამისად გათვალისწინებულნი 1 პუნქტში.

8. იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშობა დავა, თუ რა ოდენობით უნდა იქნას მიღებული დამატება ან ფასის დაკლება ამ მუხლის 5 და 6 პუნქტების შესაბამისად იმ ყოველი სახეობის ხორბლის მიმართ, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 2 ან 3 პუნქტში ან განსაზღვრულია 5 პუნქტით, ამ დავას გადაწყვეტს აღმასრულებელი კომიტეტი ფასების ექვივალენტის კონსულტაციურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ შესაბამისი ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის თხოვნით.

9. აღმასრულებელი კომიტეტის ყველა გადაწყვეტილება, მიღებული ამ მუხლის 5, 6 და 8 პუნქტების საფუძველზე, სავალდებულოა ყველა ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნისათვის იმ პირობით, რომ თითოეულ ამ ქვეყანას, რომელიც თავისთვის არახელსაყრელად მიიჩნევს რომელიმე ასეთ გადაწყვეტილებას, შეუძლია თხოვოს საბჭოს გადასინჯოს იგი.

მუხლი 7

პურის ფქვილის ფასები

1. პურის ფქვილის ფასები კომერციული შესყიდვების დროს ჩაითვლება 6 მუხლში აღნიშნული ან ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი ხორბლის ფასე-

ბის შეთავსებადად თუ საბჭო რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნისაგან არ მიიღებს საწინააღმდეგო განცხადებას, რომელიც დადასტურებულია შესაბამისი ინფორმაციით; ამ შემთხვევაში საბჭო ყოველი დაინტერესებული ქვეყნის ხელშეწყობით განიხილავს ამ საკითხს და გამოიტანს გადაწყვეტილებას ამ ფასების შეთავსებადობის შესახებ.

2. საბჭოს შეუძლია ყოველ ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანასთან თანამშრომლობით გამოიკვლიოს პურის ფქვილისა და ხორბლის ფასების თანაფარდობა.

მუხლი 8

ქვეყნები, რომლებიც ერთდროულად ხორბლის ექსპორტიორები და იმპორტიორები არიან

1. ამ შეთანხმების მოქმედების განმავლობაში და მისი გამოყენების მიზნით ქვეყნები, რომლებიც ჩამოთვლილია B დანართში, მიჩნეული არიან ექსპორტიორ ქვეყნებად, ხოლო ქვეყნები, რომლებიც ჩამოთვლილია C დანართში, მიჩნეული არიან იმპორტიორ ქვეყნებად.

2. C დანართში აღნიშნული ყოველი ქვეყანა, რომელიც რომელიმე ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას სთავაზობს ხორბალს შესასყიდად, თავაზობს მას ფასების დაწესებულ ფარგლებში, გარდა პირუტყვის დენატურირებული საკვები ხორბლისა, ამასთან თავს არიდებს ყოველგვარ ისეთ მოქმედებას, რომელიც ზიანს მიაყენებდა ამ ხელშეკრულების განხორციელებას.

3. B დანართში აღნიშნული ყოველი ქვეყანა, რომელსაც განზრახული აქვს შეისყიდოს ხორბალი, ისწრაფვის ექსპორტიორი ქვეყნისაგან შეძლებისდაგვარად შეისყიდოს მისთვის საჭირო რაოდენობის ხორბალი ფასების დაწესებულ ფარგლებში და თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისას თავი აარიდოს ყოველგვარ ისეთ მოქმედებას, რომელიც ზიანს მიაყენებდა ამ შეთანხმების განხორციელებას.

ნაწილი III

რეგულირების წესი

მუხლი 9

რეგულირება დაბალი მოსავლის შემთხვევაში

1. ყოველი ექსპორტიორი ქვეყანა, რომელიც შიშობს, რომ დაბალი მოსავლის შედეგად რომელიმე განსაზღვრულ სასოფლო-სამეურნეო წელს იგი ვერ შეძლებს შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებანი, ამის შესახებ მოახსენებს საბჭოს რაც შეიძლება ადრე და აზოგს საბჭოს ამ სასოფლო-სამეურნეო წელს გაათავისუფლოს იგი ნაწილობრივ ან მთლიანად მისი ვალდებულებებისაგან. განცხადება, რომელიც ამ პუნქტის ძალით წარედგინება საბჭოს, განიხილება დაუყოვნებლივ.



2. ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შესახებ ქვეყნის თხოვნის განხილვის დროს საბჭო ამ მუხლის თანახმად გამოარკვევს ხორბლის მდგომარეობას ექსპორტიორ ქვეყანაში, აგრეთვე იმას, თუ რამდენად იცავდა ეს ქვეყანა პრინციპს, რომლის თანახმად იგი უნდა ისწრაფოდეს მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობით შესთავაზოს ხორბალი შესასყიდად ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით.

3. ამ მუხლის თანახმად ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შესახებ თხოვნის განხილვის დროს საბჭო აგრეთვე ითვალისწინებს იმის მნიშვნელობას, რომ ექსპორტიორი ქვეყანა იცავდეს ამ მუხლის 2 პუნქტში გადმოცემულ პრინციპს.

4. თუ საბჭოს მიაჩნია, რომ ექსპორტიორი ქვეყნის განცხადება საკმარისად დასაბუთებულია, მან უნდა გადაწყვიტოს თუ რა ოდენობით და რა პირობებით გათავისუფლდება ეს ქვეყანა შესაბამის სასოფლო-სამეურნეო წელს ვალდებულებათა შესრულებისაგან. თავის გადაწყვეტილებას საბჭო აუწყებს ამ ექსპორტიორ ქვეყანას.

5. თუ საბჭომ გადაწყვიტა, რომ ექსპორტიორი ქვეყანა შესაბამის სასოფლო-სამეურნეო წელს მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდება ვალდებულებებისაგან 5 მუხლის თანახმად, მაშინ საბჭომ უნდა გაზარდოს ვალდებულებანი, ე. ი. სხვა ექსპორტიორი ქვეყნების საბაზისო რაოდენობა თითოეულ ამ ქვეყანასთან შეთანხმებულ ოდენობამდე. თუ ასეთი გადიდება არ ახდენს ამ მუხლის 4 პუნქტით გათვალისწინებული გათავისუფლების კომპენსირებას, მაშინ საბჭო ამცირებს უფლებებს, ე. ი. იმპორტიორი ქვეყნების საბაზისო რაოდენობებს, თითოეულ ამ ქვეყანასთან შეთანხმებულ საჭირო ოდენობამდე.

6. თუ ამ მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად ექსპორტიორი ქვეყნის ვალდებულებებისაგან გათავისუფლება არ შეიძლება მთლიანად ანაზღაურდეს 5 პუნქტის შესაბამისად მიღებული ღონისძიებებით, მაშინ საბჭო პროპორციულად ამცირებს უფლებებს, ე. ი. იმპორტიორი ქვეყნების საბაზისო რაოდენობას, ამასთან მხედველობაში იღებს ვალდებულებათა შემცირებას, რაც მოხდა 5 პუნქტის თანახმად.

7. თუ ვალდებულება, ე. ი. ექსპორტიორი ქვეყნის საბაზისო რაოდენობა, შემცირებულია ამ მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად, მაშინ ასეთი შემცირება გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი საბაზისო რაოდენობის და სხვა ექსპორტიორი ქვეყნების საბაზისო რაოდენობის დადგენისას მომდევნო სასოფლო-სამეურნეო წლებში, როგორც ამ ექსპორტიორ ქვეყანაში შესყიდული შესაბამის სასოფლო-სამეურნეო წელს. ამა თუ იმ გარემოებების დროს საბჭო განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა, და თუ საჭიროა, მაშინ როგორ მიმართოს იმპორტიორი ქვეყნების საბაზისო რაოდენობების რაიმე გადასინჯვას მომდევნო სასოფლო-სამეურნეო წლებში ამ პუნქტის გამოყენების შედეგად.

8. თუ უფლება, ე. ი. იმპორტიორი ქვეყნის საბაზისო რაოდენობა, შემცირებულია ამ მუხლის 5 ან 6 პუნქტების შესაბამისად იმ გათავისუფლებათა კომპენსაციის მიზნით, რომელიც ექსპორტიორ ქვეყანას მიეცა 4 პუნქტის შესაბამისად, მაშინ საბაზისო რაოდენობის ასეთი შემცირების ოდენობა განი-

ხილება როგორც შესყიდვა, რომელიც მოხდა ამ სასოფლო-სამეურნეო წელს ამ ექსპორტიორ ქვეყანაში ამ იმპორტიორი ქვეყნის საბაზისო რაოდენობის დადგენის მიზნით მომდევნო სასოფლო-სამეურნეო წლებში.



მუხლი 10

რეგულირება საგადასახდლო ბალანსის ან სავალუტო რეზერვების დაცვის საჭიროების შემთხვევაში

1. ყოველი იმპორტიორი ქვეყანა, რომელიც შიშობს, რომ საგადასახდლო ბალანსის ან სავალუტო რეზერვების დაცვის აუცილებლობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მას შეასრულოს ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებანი რომელიმე განსაზღვრულ სასოფლო-სამეურნეო წელს, მოახსენებს ამის შესახებ საბჭოს რაც შეიძლება ადრე და თხოვს საბჭოს ამ სასოფლო-სამეურნეო წელს იგი ნაწილობრივ ან მთლიანად გაათავისუფლოს ნაკისრი ვალდებულებებისაგან. განცხადება, რომელიც წარედგინება საბჭოს ამ მუხლის ძალით, განიხილება დაუყოვნებლივ.

2. რაც შეეხება დაცვის თვით ფაქტის არსებობას და იმას, თუ რამდენად საჭიროა ასეთი დაცვა, რაზეც ლაპარაკია 1 პუნქტში, — თუ საბჭოს მიმართავენ ამ მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე, მაშინ საბჭო ყველა სხვა გარემოებასთან ერთად, რომელსაც იგი საქმესთან დაკავშირებულად ჩათვლის, მიმართავს საერთაშორისო სავალუტო ფონდს დასკვნისათვის და მხედველობაში მიიღებს უკანასკნელს, თუ ფონდის წევრ ქვეყანას ეს ეხება.

3. ვალდებულებებისაგან გაათავისუფლების შესახებ ქვეყნის თხოვნის განხილვის დროს საბჭო ამ მუხლის თანახმად ითვალისწინებს იმის მნიშვნელობას, რომ იმპორტიორი ქვეყანა იცავდეს პრინციპს, რომლის თანახმად იგი უნდა ისწრაფოდეს მაქსიმალურად შესაძლო ოდენობით შეისყიდოს ხორბალი ამ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით.

4. თუ საბჭო თვლის, რომ შესაბამისი იმპორტიორი ქვეყნის განცხადება საკმაოდ დასაბუთებულია, მაშინ იგი გადაწყვეტს შესაბამის სასოფლო-სამეურნეო წელს ესა თუ ის ქვეყანა რა ოდენობითა და რა პირობებით გაათავისუფლდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაგან. საბჭო თავის გადაწყვეტილებას აუწყებს იმპორტიორ ქვეყანას,

მუხლი 11

რეგულირება და დამატებითი შესყიდვები ხორბალზე მწვავე მოთხოვნილების შემთხვევაში

1. თუ იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოიშვა ან მოსალოდნელია წარმოიშვას ხორბალზე მწვავე მოთხოვნილება, მაშინ ამ ქვეყანას შეუძლია მიმართოს საბჭოს დახმარებისათვის ხორბლის დამატებითი მიწოდების შესახებ. იმ საგანგებო მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, რომელიც შეიქმნა ხორბალზე მწვავე მოთხოვნილების წარმოშობასთან დაკავშირებით, საბჭო სასწრა-

ფოდ განიხილავს ამ მიმართვას და ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების სათვის გამოაქვს შესაბამისი რეკომენდაციები იმ ზომების შესახებ, რომლებზეც მათ უნდა მიიღონ.

2. იმ საკითხის გადაჭრის დროს, თუ როგორი რეკომენდაცია უნდა იქნას გამოტანილი წინა პუნქტის საფუძველზე იმპორტიორი ქვეყნის მიმართვასთან დაკავშირებით, საბჭო გარემოებების მიხედვით ითვალისწინებს ამ ქვეყნის ფაქტიურ კომერციულ შესყიდვებს ექსპორტიორ ქვეყნებში ან მის ვალდებულებათა მოცულობას ამ შეთანხმების 4 მუხლის თანახმად.

3. ამ მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე გამოტანილი რეკომენდაციის შესასრულებლად ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის მიერ მიღებული არავითარი ზომა ვავლენას არ ახდენს რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის საბაზისო რაოდენობებზე მომდევნო სასოფლო-სამეურნეო წლებში.

მუხლი 12

რეგულირების სხვა შემთხვევები

1. ექსპორტიორ ქვეყანას შეუძლია მის ვალდებულებათა ნაშთის ნაწილი გადასცეს სხვა ექსპორტიორ ქვეყანას, ხოლო იმპორტიორ ქვეყანას შეუძლია გადასცეს მის უფლებათა ნაშთის ნაწილი სხვა იმპორტიორ ქვეყანას რომელიმე სასოფლო-სამეურნეო წლისათვის იმ პირობით, თუ ამას საბჭო მოიწონებს როგორც ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი ქვეყნების მიერ მიცემული ხმების უმრავლესობით.

2. ყოველ იმპორტიორ ქვეყანას საბჭოსათვის წერილობითი შეტყობინების გზით ყოველ დროს შეუძლია გაადიდოს პროცენტი, რომელიც მან 4 მუხლის 1 პუნქტით იკისრა, და ეს გადიდება ძალაში უნდა შევიდეს საბჭოს მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან.

3. ყოველ იმპორტიორ ქვეყანას, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ინტერესები 4 მუხლის 1 პუნქტისა და A დანართის თანახმად მის მიერ აღებულ პროცენტულ ვალდებულებათა მიმართ სერიოზულად დარღვეულია იმის გამო, რომ B დანართში მოხსენიებული და B დანართში განაწილებული ხმების სულ ცოტა 5 პროცენტის მქონე რომელიმე ქვეყანა არ მონაწილეობს ამ შეთანხმებაში ანდა გავიდა ამ შეთანხმებიდან, შეუძლია საბჭოსათვის წერილობით შეტყობინების გზით ითხოვოს თავის პროცენტულ ვალდებულებათა შემცირება. ასეთ შემთხვევაში საბჭო ამცირებს ამ იმპორტიორი ქვეყნის პროცენტულ ვალდებულებებს იმ ოდენობით, რაც უდრის შეთანხმების კონკრეტული არამონაწილე და შეთანხმებიდან გამსვლელი ქვეყნებისაგან 15 მუხლით დადგენილი მისი წლიური მაქსიმალური კომერციული შესყიდვების მოცულობის შეფარდებას მის საბაზისო რაოდენობასთან ყველა იმ ქვეყნის მიმართ, რომლებიც ჩამოთვლილია B დანართში, და შემდეგ დამატებით შეამცირებს ამ გადასინჯულ პროცენტს 2,5 პროცენტის გამოკლების გზით.

4. გათვალისწინებულ უნდა იქნას საბაზისო რაოდენობა ყოველი ქვეყნისა, რომელიც უერთდება შეთანხმებას ამ შეთანხმების 35 მუხლის 4 პუნქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ექსპორტიორი ან იმპორტიორი

ერთი ან რამდენიმე ქვეყნის საბაზისო რაოდენობების გადიდების ან შემცირების გზით გარემოებათა მიხედვით. ასეთი რეგულირება შეიძლება მიღებული იქნას მხოლოდ იმ ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის თანხმობით, რომლის საბაზისო რაოდენობა ამით იცვლება.

ნაწილი IV

უზღვაბათა განხორციელება და ვალდებულებათა შესრულება

მუხლი 13

განცხადება მაქსიმალური ფასის შესახებ

1. როგორც კი ექსპორტიორი ქვეყანა მისცემს საყიდლად იმპორტიორ ქვეყნებს რომელიმე ხარისხის რაღაც რაოდენობის ხორბალს, გარდა თავთუხისა და დამოწმებული სათესლე ხორბლისა, სულ ცოტა მაქსიმალურ ფასად, იგი ამის შესახებ შეატყობინებს საბჭოს. ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ აღმასრულებელი მდივანი, მოქმედებს რა საბჭოს სახელით, აკეთებს ამ მუხლის 4 პუნქტით და 16 მუხლის 4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევათა გამოკლებით, შესაბამის განცხადებას, რომელსაც ამ შეთანხმებაში ეწოდება განცხადება მაქსიმალური ფასის შესახებ. აღმასრულებელი მდივანი განცხადებას მაქსიმალური ფასის შესახებ უგზავნის ყველა ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანას რაც შეიძლება მალე მას შემდეგ, რაც გაკეთდა განცხადება.

2. როგორც კი ექსპორტიორი ქვეყანა კვლავ მიაწვდის საყიდლად იმპორტიორ ქვეყნებს ყველა ხარისხის ხორბალს (თავთუხისა და დამოწმებული სათესლე ხორბლის გამოკლებით) მაქსიმალურზე ნაკლებ ფასებში, რომელიც ადრე შეთავაზებული იყო სულ ცოტა მაქსიმალურ ფასად, იგი ამას შეატყობინებს საბჭოს. ამის შემდეგ აღმასრულებელი მდივანი, მოქმედებს რა საბჭოს სახელით, ამ ქვეყნის მიმართ წყვეტს მაქსიმალური ფასის განცხადების მოქმედებას შესაბამისი დამატებითი განცხადების გზით. აღმასრულებელი მდივანი ამ განცხადებას უგზავნის ყველა ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანას რაც შეიძლება მალე მას შემდეგ, რაც გაკეთებული იყო ასეთი განცხადება.

3. საბჭომ თავისი პროცედურის წესებში უნდა გაითვალისწინოს დებულებები ამ მუხლის 1 და 2 პუნქტების ვანსახორციელებლად იმ წესების ჩათვლით, რომლებიც განსაზღვრავენ ამ მუხლის თანახმად გაკეთებული განცხადებების ძალაში შესვლის თარიღს.

4. თუ რომელიმე შემთხვევაში, აღმასრულებელი მდივნის აზრით, ექსპორტიორმა ქვეყანამ არ გააკეთა შეტყობინება ამ მუხლის 1 ან 2 პუნქტების საფუძველზე ან გააკეთა არასწორი შეტყობინება, აღმასრულებელი მდივანი იწვევს, არ დაარღვევს რა უკანასკნელ შემთხვევაში 1 ან 2 პუნქტების დებულებებს, ფასების ექვივალენტების კუნსულტაციურ კომიტეტის სხდომას. თუ რომელიმე შემთხვევაში, აღმასრულებელი მდივნის აზრით, ექსპორტიორმა ქვეყანამ 1 პუნქტის საფუძველზე გააკეთა შეტყობინება, მაგრამ მასში მოცემული ფაქტები არ ამართლებს განცხადებას მაქსიმალური ფასის შესახებ, იგი

ასეთ განცხადებას არ აკეთებს და საკითხს განსახილველად გადასცემს კონსულტაციურ კომიტეტს. თუ კონსულტაციური კომიტეტი ამ მუხლის საფუძველზე ან 31 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტს, რომ განცხადება 1 ან 2 პუნქტების საფუძველზე უნდა გაკეთდეს ან არ უნდა გაკეთდეს ან არასწორია კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, აღმასრულებელ კომიტეტს, მოქმედებს რა საბჭოს სახელით, შესაბამისად შეუძლია გააკეთოს განცხადება ან თავი შეიკავოს ამისგან, ან გააუქმოს ადრე გაკეთებული რომელიმე განცხადება. აღმასრულებელი მდივანი ყოველ განცხადებას რაც შეიძლება მალე უგზავნის ყველა ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანას ან შეატყობინებს მათ განცხადების გაუქმების შესახებ.

5. ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული ყოველი განცხადება კონკრეტულად მიუთითებს იმ სასოფლო-სამეურნეო წელს ან იმ სასოფლო-სამეურნეო წლებს, რომლებსაც ეხება ეს განცხადება და რომელთა მიმართ შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნას ეს შეთანხმება.

6. თუ რომელიმე ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას მიაჩნია, რომ ამ მუხლის საფუძველზე განცხადება უნდა გაკეთდეს ან არ უნდა გაკეთდეს კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, მას შეუძლია ეს საკითხი განსახილველად გადასცეს საბჭოს. თუ საბჭო ჩათვლის, რომ დაინტერესებული ქვეყნის წარდგინება საკმაოდ დასაბუთებულია, მაშინ საბჭო შესაბამისად აკეთებს განცხადებას ან აუქმებს ადრე გაკეთებულ განცხადებას.

7. ამ მუხლის 1, 2 ან 4 პუნქტების საფუძველზე გაკეთებული და ამ მუხლის შესაბამისად გაუქმებული ყოველი განცხადება თვით მისი გაუქმების თარიღამდე განხილულ უნდა იქნას როგორც სავსებით ძალაში მყოფი, და ასეთმა გაუქმებამ ძალა არ უნდა დაუკარგოს ყოველივე იმას, რაც გაკეთებული იყო ამ განცხადების საფუძველზე მის გაუქმებამდე.

მუხლი 14

დონისძიებანი იმ პირობებში, როცა ხორბლის ფასი მინიმალური ფასის დონეზეა ან უახლოვდება მას

1. თუ რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყნებს აწვდის შესასყიდად ხორბალს იმ ფასებში, რომლებიც არ აღემატება მინიმალურ ფასს, ან მოსალოდნელია ასეთი მდგომარეობის წარმოშობა, აღმასრულებელი მდივანი შეატყობინებს ფასების ექვივალენტების კონსულტაციურ კომიტეტს შექმნილ მდგომარეობას, კომიტეტის რეკომენდაციით დაუკავშირდება დაინტერესებულ ქვეყანას და შემდეგ ამ საკითხზე მოხსენებას წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტს.

2. თუ ამ მუხლის 1 პუნქტის თანახმად ან 31 მუხლის თანახმად კონსულტაციური კომიტეტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა თვალსაზრისით ამ საკითხის შესწავლის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი ჩათვლის, რომ დაინტერესებული ქვეყანა, შეიძლება არ ასრულებს შეთანხმებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს მინიმალური ფასის მიმართ, იგი ამას აცნობებს დაინ-

ტერესებულ ქვეყანას და შეუძლია ამ საკითხზე მოსთხოვოს ამ ქვეყანას ცნობის წარმოდგენა, რათა შემდეგ იგი განიხილოს კომიტეტმა. თუ აღმასრულებელი კომიტეტი მხედველობაში მიიღებს დაინტერესებული ქვეყნის მიერ მიცემულ განმარტებებს და ჩათვლის, რომ ეს ქვეყანა არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს მინიმალური ფასის მიმართ, იგი ამას შეატყობინებს საბჭოს თავმჯდომარეს.

3. აღმასრულებელი კომიტეტისაგან ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე რაც შეიძლება მალე იწვევს საბჭოს სესიას ამ საკითხის განსახილველად. ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების სახელზე საბჭოს შეუძლია გამოიტანოს რეკომენდაციები, რომლებიც მისი აზრით საჭიროა შექმნილ ვითარებაში.

4. თუ ფასების ექვივალენტების კონსულტაციურ კომიტეტს, რომელიც 31 მუხლის თანახმად რეგულარულად ადევნებს თვალს ბაზრის კონიუნქტურას, მიაჩნია, რომ რომელიმე ხარისხის ხორბალზე ფასების მნიშვნელოვნად დაცემის მიზეზით შეიქმნა ან გარდუვალად შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც, ალბათ, საფრთხის წინაშე დააყენებს ამ შეთანხმების მიზნებს მინიმალური ფასების მიმართ, ან თუ აღმასრულებელი მდივანი, რომელიც მოქმედებს თავისი ინიციატივით ან რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის თხოვნით, კონსულტაციური კომიტეტის ყურადღებას მიაქცევს ასეთ მდგომარეობას, ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ შეატყობინებს აღმასრულებელ კომიტეტს ამ გარემოებებს. ამასთან კონსულტაციური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებებს, რომლებმაც ყოველ ბაზარზე გამოიწვიეს ან საფრთხეს ქმნიან გამოიწვიონ ხორბლის ფასების მნიშვნელოვანი დაცემა მინიმალურ ფასთან შედარებით. თუ იგი ამას საჭიროდ ჩათვლის, აღმასრულებელი კომიტეტი შეატყობინებს შექმნილ მდგომარეობას საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც შეუძლია მოიწვიოს საბჭოს სესია ამ საკითხის განსახილველად. საბჭოს ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების მისამართით შეუძლია მიიღოს რეკომენდაციები, რომლებიც მისი აზრით საჭიროა შექმნილ ვითარებაში.

5. კონსულტაციური კომიტეტი, რომელიც კონსულტაციას უწევს აღმასრულებელ კომიტეტს და ამ მუხლის 2 და 4 პუნქტების თანახმად აუწყებს მას მდგომარეობას, წამოაყენებს წინადადებას, თუ როგორ განისაზღვროს განსხვავებულ ხარისხზე ფასჩამოკლება, რაც მისი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა შექმნილ ვითარებაში.

მუხლი 15

ს ა ბ ა ზ ი ს ო რ ა ო დ ე ნ ო ბ ა თ ა დ ა დ გ ე ნ ა

1. 2 მუხლში განსაზღვრული საბაზისო რაოდენობანი თითოეული სასოფლო-სამეურნეო წლისათვის დადგინდება საშუალო წლიური კომერციული შესყიდვების საფუძველზე პირველი ოთხი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში იმ ხუთი სასოფლო-სამეურნეო წლიდან, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა მას.

2. თითოეული სასოფლო-სამეურნეო წლის დაწყების წინ საბჭო ამ სასოფლო-სამეურნეო წლისათვის ადგენს საბაზისო რაოდენობას თითოეულ პორტიორი ქვეყნისათვის ყველა იმპორტიორი ქვეყნის მიმართ და საბაზისო რაოდენობას თითოეული იმპორტიორი ქვეყნისათვის ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ და ამ ქვეყნებიდან თითოეულის მიმართ ცალკე.

3. წინა პუნქტის შესაბამისად დადგენილი საბაზისო რაოდენობა გადაინჯება ყოველთვის, როცა კი ამ შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობაში მოხდება ცვლილება, ამასთან შესაბამის შემთხვევებში გათვალისწინებული იქნება ის პირობები, რომლებიც საბჭომ მიიღო 35 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 16

რეგისტრაცია

1. ამ შეთანხმების განხორციელების მიზნით საბჭო თითოეულ სასოფლო-სამეურნეო წელს რეგისტრაციას უკეთებს ყველა კომერციულ შესყიდვას, რომელსაც იმპორტიორი ქვეყნები მოახდენენ ყველა ქვეყანაში, აგრეთვე ექსპორტიორ ქვეყანაში მომხდარ შესყიდვებს.

2. საბჭო რეგისტრაციას აკეთებს ისეთნაირად, რომ ყოველი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში ყოველთვის ცნობილი იყოს თითოეული ექსპორტიორი ქვეყნის ვალდებულებათა ნაშთი ყველა იმპორტიორი ქვეყნის მიმართ და თითოეული იმპორტიორი ქვეყნის უფლებათა ნაშთი ყველა ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ, აგრეთვე თითოეული ასეთი ქვეყნის მიმართ ცალკე. განცხადება ვადების ნაშთების შესახებ, რომლებსაც დაადგენს საბჭო, ეცნობება ყველა ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანას.

3. ამ მუხლის 2 პუნქტისა და 4 მუხლის 2 პუნქტის მიზნებისათვის რომელიმე იმპორტიორი ქვეყნის მიერ ექსპორტიორ ქვეყანაში წარმოებული კომერციული შესყიდვები, რომელთა რეგისტრირებას მოახდენს საბჭო, შეიტანება ჩანაწერებში ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ვალდებულებათა პირდაპირ 4 და 5 მუხლების საფუძველზე ან იმ ვალდებულებათა პირდაპირ, რომლებიც შეცვლილია ამ შეთანხმების სხვა მუხლების საფუძველზე, თუ ჩატვირთვა წარმოებს ამ სასოფლო-სამეურნეო წელს და

a) იმპორტიორი ქვეყნების მიმართ მინიმალურ და უფრო მაღალ ფასებში შესყიდვების დროს და

b) ექსპორტიორი ქვეყნის მიმართ დადგენილი ფარგლების ფასებში შესყიდვების დროს, მაქსიმალური ფასების ჩათვლით 5 მუხლის მიზნებისათვის. პურის ფქვილის კომერციული შესყიდვებიც, რომლის რეგისტრირებას მოახდენს საბჭო, შეიტანება ჩანაწერებში ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ვალდებულებათა პირდაპირ იმავე პირობებში, თუკი პურის ფქვილის ფასი შეეფარდება ხორბლის ფასს 7 მუხლის შესაბამისად.

4. თუ იმპორტიორი ქვეყანა და ქვეყანა, რომელიც ხორბალს აწვდის შესასყიდად, შეთანხმდებიან ამაზე, შესყიდვების ფასები, რომლებიც აღემატება მაქსიმალურ ფასს, არ განიხილება როგორც 4 და 5 მუხლისა და 8 მუხლის

2 პუნქტის დებულებათა დარღვევა და შეიტანება დაინტერესებული ქვეყნების ვალდებულებათა პირდაპირ, თუკი ასეთი არსებობს. ექსპორტიორი ქვეყნის საგანგებო ასეთი შესყიდვების მიმართ არავითარი გახცხადება მაქსიმალურ ფასის შესახებ არ კეთდება, და ისინი არავითარ შემთხვევაში გავლენას არ მოახდენენ ამ დაინტერესებული ექსპორტიორი ქვეყნის ვალდებულებებზე იმპორტიორი ქვეყნების მიმართ თახახმად 4 მუხლისა.

5. თავთუხისა და დამოწმებული სათესლე ხორბლის მხრივ ყოველი შესყიდვა, რომლის რეგისტრირებას აწარმოებს საბჭო, ასევე შეიტანება ჩანაწერში ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ვალდებულებათა პირდაპირ იმავე პირობებში, იმისგან დამოუკიდებლად, აღმატება თუ არა ფასი მაქსიმალურ ფასს.

6. ამ მუხლის 3 პუნქტის დებულებათა დაცვის პირობით, საბჭოს შეუძლია შესყიდვის რეგისტრაციის ნება დართოს რომელიმე სასოფლო-სამეურნეო წელს, თუ

ა) საბჭოს გადაწყვეტილებით ჩატვირთვისათვის საჭირო დროის პერიოდი არის გონივრული და არ აღემატება ერთ თვეს სასოფლო-სამეურნეო წლის დაწყებამდე ან დამთავრების შემდეგ, და

ბ) შესაბამისი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები თანახმა არიან ამისა.

7. იმ პერიოდში, როცა ნავიგაცია ფორტ ვილიამ/პორტ არტურსა და კანადის ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურებს შორის შეწყვეტილია, შესყიდვა, მიუხედავად 6 მუხლის 4 პუნქტის დებულებებისა, საბჭოს მიერ რეგისტრირებულ უნდა იქნას ამა თუ იმ დაინტერესებული ექსპორტიორი და დაინტერესებული იმპორტიორი ქვეყნების ვალდებულებათა პირდაპირ ამ მუხლის შესაბამისად, თუ ეს ეხება

ა) კანადის ხორბალს, რომლის გადაზიდვა მთლიანად ხდება რკინიგზით ფორტ ვილიამ/პორტ არტურიდან კანადის ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურებში, ან

ბ) აშშ წარმოშობის ხორბალს, რომელიც გადაზიდვების იმ შემთხვევათა გამოკლებით, რომლებიც ხორციელდება მყიდველისა და გამყიდველის მხრივ კონტროლის გარეშე, ჩვეულებრივ აშშ ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურებში გადაიზიდება ტბებით ან რკინიგზით და რომელიც, ნაჩვენებ გზით გადაზიდვის შეუძლებლობის გამო, გადაზიდულ იქნება მხოლოდ რკინიგზით აშშ ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურებში,

იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული მიზეზებით გამოწვეული გადაზიდვის დამატებითი ხარჯების ანაზღაურება შეთანხმებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის.

8. საბჭომ უნდა შეიმუშაოს ცნობების შეკრებისა და ყველა კომერციულ შესყიდვათა და სპეციალურ გარიგებათა ჩაწერის პროცედურის წესები. ამ წესებში გათვალისწინებულ უნდა იქნას შეტყობინების ვადები და წესი, აგრეთვე ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების მოვალეობანი ასეთი ცნობების წარდგენის მხრივ. პროცედურის ამ წესებში საბჭომ უნდა გაითვალის-

წინოს აგრეთვე დებულებანი ჩანაწერის ან საბჭოს ანგარიშის ცვლილებების შესახებ, მათ შორის დებულება ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი გადაწყვეტის წესის შესახებ.

9. თითოეულ ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანას თავის ვალდებულებათა შესრულების დროს შეიძლება ნება დაერთოს რამდენადმე გადახვევისა, რასაც მისთვის საბჭო დაადგენს, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი მოვალეობათა ოდენობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტორები.

10. ულარესად სრული აღრიცხვის საწარმოებლად და 23 მუხლის მიზნებისათვის საბჭო აგრეთვე თითოეულ სასოფლო-სამეურნეო წელს აწარმოებს ცალკე რეგისტრაციას ყველა სპეციალური გარიგებისას, რომელიც დაუდევს სულ ერთია რომელ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას.

მუხლი 17

ხორბლის მოთხოვნისა და მიწოდების შეფასება

1. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თითოეული იმპორტიორი ქვეყანა 1 ოქტომბრისათვის, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროს თითოეული იმპორტიორი ქვეყანა 1 თებერვლისათვის შეატყობინებს საბჭოს ექსპორტიორი ქვეყნისაგან ხორბლის იმპორტის საკუთარ კომერციულ მოთხოვნილებათა თავის შეფასებას ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო წელს. შემდგომში ყოველ იმპორტიორ ქვეყანას შეუძლია აცნობოს საბჭოს ყველა ცვლილება, რომლის შეტანაც თავის შეფასებაში მას საჭიროდ მიაჩნია.

2. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თითოეული ექსპორტიორი ქვეყანა 1 ოქტომბრისათვის, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროს თითოეული ექსპორტიორი ქვეყანა 1 თებერვლისათვის შეატყობინებს საბჭოს ხორბლის იმ რაოდენობის თავის შეფასებას, რომელსაც იგი ექსპორტისათვის გამოყოფს ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო წელს. შემდგომში ყოველ ექსპორტიორ ქვეყანას შეუძლია აცნობოს საბჭოს ყველა ცვლილება, რომლის შეტანაც თავის შეფასებაში მას საჭიროდ მიაჩნია.

3. საბჭოსთვის შეტყობინებული ყველა შეფასება გამოიყენება ამ შეთანხმების განხორციელების მიზნით და შეიძლება გადაცემულ იქნას ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების განკარგულებაში მხოლოდ საბჭოს მიერ მიღებული პირობებით. ამ მუხლის შესაბამისად წამოყენებული შეფასებანი არავითარ შემთხვევაში დამავალდებულებელს არ წარმოადგენს.

4. ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შეუძლიათ ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებანი შეასრულონ კერძო სავაჭრო არხების საშუალებით ან სხვა გზით. ამ შეთანხმებაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს რომელიმე კერძო სავაჭრო საწარმო თავისუფლდებოდეს რომელიმე იმ კანონისა ან დადგენილების მოქმედებისაგან, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვრცელდება ამ სავაჭრო საწარმოებზე.



5. საბჭოს შეუძლია თავის შეხედულებით სთხოვოს ექსპორტიორ პორტიორ ქვეყნებს ითანამშრომლონ ურთიერთშორის იმ აზრით, რომ ველყონ ხორბლის მიწოდება ისეთი რაოდენობით, რომელიც ტოლი იქნებოდა ექსპორტიორი ქვეყნის საბაზისო რაოდენობათა სულ ცოტა ათი პროცენტისა რომელიმე სასოფლო-სამეურნეო წელს, რათა იმპორტიორმა ქვეყნებმა შეისყიდონ ეს ხორბალი ამ სასოფლო-სამეურნეო წლის 31 იანვრის შემდეგ.

მუხლი 18

კონსულტაციები

1. რომ შემსუბუქდეს ექსპორტიორი ქვეყნის ამოცანა თავის მოვალეობათა მოცულობის შეფასების დროს იმ შემთხვევაში, თუ უნდა გაკეთდეს განცხადება მაქსიმალური ფასის შესახებ, და ამასთან ზიანი არ მიადგეს რომელიმე იმპორტიორი ქვეყნის უფლებებს, ექსპორტიორ ქვეყანას შეუძლია ითათბიროს იმპორტიორ ქვეყანასთან იმ უფლებათა მოცულობის შესახებ, რომელსაც უკანასკნელი, 4 და 5 მუხლების თანახმად, თვითონ იკისრებს რომელიმე სასოფლო-სამეურნეო წელს.

2. ყოველ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას, რომელიც სიძნელებს განიცდის 4 მუხლის თანახმად წარმოებულ ხორბლის გაყიდვასა ან შესყიდვაში, შეუძლია ეს საკითხი განსახილველად გადასცეს საბჭოს. ამ შემთხვევაში საბჭო საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრის მიზნით ეთათბირება რომელიმე დანტერესებულ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას და შეუძლია გამოიტანოს ისეთი რეკომენდაციები, რომლებსაც ის საჭიროდ ჩათვლის.

3. თუ რომელიმე იმპორტიორი ქვეყანა სიძნელებს განიცდის ნაშთის შესყიდვის თავის უფლებათა განხორციელებაში რომელიმე სასოფლო-სამეურნეო წელს იმ ფასად, რომელიც მაქსიმალური ფასის შესახებ განცხადების მოქმედების პერიოდში არ აღემატება მაქსიმალურს, მაშინ მას შეუძლია საკითხი გადასცეს საბჭოს განსახილველად. ამ შემთხვევაში საბჭო არკვევს მდგომარეობას და ეთათბირება ექსპორტიორ ქვეყნებს იმის თაობაზე, თუ რა გზით შეასრულებენ ისინი თავიანთ ვალდებულებებს.

მუხლი 19

ვალდებულებათა შესრულება 4 და 5 მუხლების მიხედვით

1. თითოეული სასოფლო-სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ საბჭო განიხილავს, როგორც კი ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, თუ როგორ ასრულებენ ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები თავიანთ ვალდებულებებს, 4 და 5 მუხლის თანახმად, ამ სასოფლო-სამეურნეო წელს.

2. ასეთი განხილვის მიზნით გამოიყენება იმ ვალდებულებათა გვერდის ავლა, რომლებიც საბჭომ დაადგინა 16 მუხლის 9 პუნქტის საფუძველზე.

3. იმპორტიორი ქვეყნის თხოვნით საბჭოს შეუძლია ამ სასოფლო-სამეურნეო წელს ამ ქვეყნის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულების განხილვის

დროს მხედველობაში მიიღოს ფქვილი, გადაანგარიშებული მარცვალზე და სყიდული სხვა იმპორტიორი ქვეყნისაგან, იმ პირობით, თუ საბჭო დაასკვნის, რომ ასეთი ფქვილი მთლიანად იმ ხორბლის ფქვილია, რომელიც ამ შეთანხმების ფარგლებში შესყიდულია ექსპორტიორი ქვეყნისაგან.

4. მისი განხილვის დროს, თუ როგორ ასრულებს რომელიმე იმპორტიორი ქვეყანა თავის ვალდებულებებს ამ სასოფლო-სამეურნეო წელს:

a) საბჭო არ ითვალისწინებს თავისი ხასიათით უჩვეულო იმპორტს ხორბლისას არაექსპორტიორი ქვეყნებისაგან, იმ პირობით, თუ საბჭო დაასკვნის, რომ ასეთი ხორბალი გამოყენებული იყო ან გამოყენებული იქნება მხოლოდ პირუტყვის საკვების სახით და რომ ასეთ იმპორტს არ შეუშვებია ის ოდენობა, რომელსაც ეს იმპორტიორი ქვეყანა ყიდულობდა ექსპორტიორ ქვეყნებში. ყოველგვარი გადაწყვეტილება ამ ქვეპუნქტის თანახმად მიიღება ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით;

b) საბჭო არ ითვალისწინებს ხორბლის იმპორტს არაექსპორტიორი ქვეყნებისაგან, რომელიც დენატურირებულია როგორც პირუტყვის საკვებად გამოსაყენებელი საბჭოსათვის მისაღები წესით.

5. მისი განხილვის დროს, თუ როგორ ასრულებს თავის ვალდებულებებს რომელიმე იმპორტიორი ქვეყანა ამ სასოფლო-სამეურნეო წელს, საბჭოს შეუძლია აგრეთვე არ გაითვალისწინოს თავთუხის შესყიდვები, წარმოებული ამ ქვეყნის მიერ რომელიმე იმ იმპორტიორ ქვეყანაში, რომელიც თავთუხის ტრადიციული ექსპორტიორია.

მუხლი 20

დარღვევები 4 ან 5 მუხლის მიხედვით

1. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებათა შესრულების განხილვისას, რაც 19 მუხლის თანახმად ხდებოდა, აღმოჩნდა, რომ რომელიმე ქვეყანა არღვევს 4 ან 5 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს, მაშინ საბჭო გადაწყვეტს, რა ზომები უნდა იქნას მიღებული.

2. გადაწყვეტილების მიღებამდე ამ მუხლის თანახმად საბჭო შესაძლებლობას აძლევს ყოველ დაინტერესებულ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას წარმოადგინოს ყოველგვარი ფაქტი, რომელიც მისი აზრით ამ საკითხს ეხება.

3. თუ საბჭო ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით დაადგენს, რომ რომელიმე ექსპორტიორმა ან იმპორტიორმა ქვეყანამ დაარღვია 4 ან 5 მუხლით ნაკისრი ვალდებულებანი, მაშინ საბჭოს შეუძლია ასეთივე კენჭის ყრის გზით ჩამოართვას შესაბამის ქვეყანას მისი ხმის უფლება საბჭოს მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში, აგრეთვე შეამციროს მისი სხვა უფლებები იმდენად, რამდენადაც ეს, მისი აზრით, შეეფარდება ასეთ დარღვევას, ან გარიცხოს ეს ქვეყანა ამ შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობიდან.

4. მოქმედება, რასაც საბჭო მიმართავს ამ მუხლის საფუძველზე, არაერთა თარ შემთხვევაში არ ამცირებს შესაბამისი ქვეყნის ვალდებულებას გადაუხადოს საბჭოს საწევრო შესატანი იმ შემთხვევის გარდა, როცა ქვეყანა ცხელია ამ შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობიდან.

მუხლი 21

ზომები სერიოზული ზიანის მიყენების შემთხვევაში

1. თუ რომელიმე ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას მიაჩნია, რომ მის, როგორც ამ შეთანხმების მონაწილის, ინტერესებს თავისი მოქმედებით სერიოზული ზიანი მიაყენა ერთმა ან რამდენიმე ექსპორტიორმა ან იმპორტიორმა ქვეყანამ და ეს მოქმედება არღვევს შეთანხმების განხორციელებას, მას შეუძლია დააყენოს საკითხი საბჭოს განსახილველად. ამ შემთხვევაში საბჭო დაუყოვნებლივ მიმართავს საკონსულტაციოდ დაინტერესებულ ქვეყნებს იმ აზრით, რომ გადაწყვიტოს საკითხი.

2. თუ ასეთი კონსულტაციების შედეგად საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, მაშინ საბჭოს შეუძლია გადასცეს იგი აღმასრულებელ კომიტეტს ან ფასების ექვივალენტების კონსულტაციურ კომიტეტს, რათა მან დაუყოვნებლივ განიხილოს და მოახსენოს იგი საბჭოს. ასეთი მოხსენების მიღების შემდეგ საბჭო ხელახლა განიხილავს საკითხს და მას შეუძლია ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით გამოუტანოს რეკომენდაციები შესაბამის ქვეყნებს.

3. თუ დაინტერესებულ ქვეყანას მიაჩნია, რომ საკითხი არასაკმარისად იყო განხილული, იმისდა მიუხედავად, მიიღო თუ არა საბჭომ ზომები, ამ მუხლის 2 პუნქტის თანახმად მას შეუძლია მიმართოს საბჭოს თხოვნით მისი გათავისუფლების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა ნაწილისაგან. საბჭოს შეუძლია, თუ საჭიროდ ჩათვლის, გაათავისუფლოს ეს ქვეყანა მისი ვალდებულებების ნაწილისაგან აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში. ასეთი გადაწყვეტილებისათვის საჭიროა ექსპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედი და იმპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედი.

4. თუ საბჭო არ ათავისუფლებს დაინტერესებულ ქვეყანას ამ მუხლის 3 პუნქტის თანახმად მისი ვალდებულებების ნაწილისაგან და თუ დაინტერესებულ ქვეყანას კვლავ მიაჩნია, რომ მას, როგორც ამ შეთანხმების მონაწილეს მიაყენეს სერიოზული ზიანი, მას შეუძლია გავიდეს შეთანხმებიდან სასოფლო-სამეურნეო წლის დამლევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. თუ საკითხი საბჭოს განსახილველად გადაეცა ერთ სასოფლო-სამეურნეო წელს, ხოლო საბჭომ ვალდებულებათა ნაწილისაგან ქვეყნის გათავისუფლების საკითხის განხილვა დაასრულა მომდევნო სასოფლო-სამეურნეო წელს, მაშინ დაინტერესებულ ქვეყანას შეუძლია გავიდეს შეთანხმებიდან 30 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დამთავრდება საკითხის განხილვა, ანალოგიური შეტყობინების გაგზავნის გზით.

დავა და საჩივრები

1. ყველა დავა ამ შეთანხმების გაგების ან გამოყენების შესახებ გარდა 19 და 20 მუხლების დებულებებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავისა, რომელიც არ მოუწესრიგებიათ მოლაპარაკების გზით, გადასაწყვეტად გადაეცემა საბჭოს დავის მონაწილე რომელიმე ქვეყნის თხოვნით.

2. ყველა შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე დავა გადასაწყვეტად გადაეცემა საბჭოს, შეთანხმების მონაწილე ქვეყნების ან იმ ქვეყნების უმრავლესობას, რომლებსაც აქვთ ხმების საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედი, შეუძლია მოითხოვოს, რომ საბჭომ, საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, გადაწყვეტილების მიღებამდე მოისმინოს სადავო საკითხებზე აზრი კონსულტაციური ჯგუფისა, რომელზეც ნათქვამია 3 პუნქტში.

3. a) კონსულტაციური ჯგუფი შედგება, თუ საბჭო ერთხმად არ გამოიტანს სხვა გადაწყვეტილებას,

i) ექსპორტიორი ქვეყნების მიერ დანიშნული ორი ექსპერტისაგან, რომელთაგანაც ერთს დიდი გამოცდილება გააჩნია ამ სადავო საკითხის ანალოგიურ საკითხებში, ხოლო მეორეს დიდი ავტორიტეტი და გამოცდილება აქვს იურისპრუდენციის დარგში;

ii) ორი ასეთივე ექსპერტისაგან, რომლებსაც ნიშნავენ იმპორტიორი ქვეყნები; და

iii) თავმჯდომარისაგან, რომელსაც აირჩევს „i“ და „ii“ ქვეპუნქტების შესაბამისად დანიშნული ოთხი ექსპერტი, ან, თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან, საბჭოს თავმჯდომარე.

b) იმ ქვეყნების ექსპერტებს, რომელთა მთავრობებიც მონაწილეობენ შეთანხმებაში, უფლება აქვთ შევიდნენ კონსულტაციური ჯგუფის შემადგენლობაში.

კონსულტაციურ ჯგუფში დანიშნული ექსპერტები მოქმედებენ თავიანთი სახელით და არ იღებენ ინსტრუქციებს რომელიმე მთავრობისაგან.

C) კონსულტაციური ჯგუფის ხარჯებს იხდის საბჭო.

4. კონსულტაციური ჯგუფის დასკვნა და მისი დასაბუთება წარედგინება საბჭოს, რომელსაც ამ დავაზე არსებული მთელი ინფორმაციის განხილვის შემდეგ, გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება ამ დავის შესახებ.

5. ყოველი საჩივარი იმაზე, რომ რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა არ ასრულებს ამ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, საჩივრის წარმომდგენი ქვეყნის თხოვნით გადაეცემა საბჭოს, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

6. 20 მუხლის დებულებათა თანახმად არც ერთი ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა არ შეიძლება ცნობილ იქნას ამ შეთანხმების დამრღვევად, თუ ეს არ იქნება ცნობილი ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის მიერ ამ შეთანხმების დარღვევის შესახებ გაკეთებული ყო-

ველგვარი განცხადება უნდა შეიცავდეს აღნიშვნას, თუ რა ხასიათისაა ეს დარღვევა და, თუ ეს დარღვევა ეხება 4 ან 5 მუხლით ამ ქვეყნის მიერ ნაკისვალ დებულებებს, იმის აღნიშვნასაც, თუ რამდენად დიდია ეს დარღვევა.

7. თუ საბჭო, 20 მუხლის დებულებათა საფუძველზე, დაადგენს, რომ ექსპორტიორმა ან იმპორტიორმა ქვეყანამ დაარღვია ეს შეთანხმება, მაშინ მას შეუძლია ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით ჩამოართვას შესაბამის ქვეყანას მისი ხმის უფლება მანამდე, ვიდრე არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, ან გარიცხოს ეს ქვეყანა ამ შეთანხმების მონაწილეთაგან.

ნაწილი V

ყოველწლიური მიმოხილვა, ხორბლის მოხმარება და გამოყენება

მუხლი 23

ხორბლის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის
ყოველწლიური მიმოხილვა

1. ა) საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს ამ შეთანხმების მიზნებით, ჩამოყალიბებულით 1 მუხლში, ყოველწლიურად ადგენს ხორბლის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის მიმოხილვას და აცნობებს ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს, თუ რა გავლენას ახდენს ხორბლით საერთაშორისო ვაჭრობაზე მიმოხილვაში აღნიშნული ფაქტორები, იმ მოსაზრებით, რომ ამ ქვეყნებს შეეძლოთ გაითვალისწინონ ეს გავლენა საშინაო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და ფასების პოლიტიკის განსაზღვრისა და გატარების დროს;

ბ) მიმოხილვა დგება ეროვნული წარმოების, მარაგის, ფასების, ვაჭრობის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხორბლის ნამეტის გასაღების, სპეციალური გარიგებების, მოხმარების შესახებ ცნობებისა და ყოველგვარი სხვა ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც შეიძლება სასარგებლო იქნას ამ მიზნისათვის. ამ მიმოხილვის შედეგის გასაადვილებლად საბჭოს შეუძლია შეავსოს მოხსენიებული ინფორმაცია რომელიმე ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანასთან თანამშრომლობით განხორციელებული გამოკვლევების მონაცემებით;

გ) იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ საბჭოს ხორბლის ნამეტის გასაღების მიმოხილვის შედეგაში ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები ინფორმაციას აწვდიან საბჭოს, თუ რა ზომები მიიღეს მათ იმ პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლების თანახმადაც ასეთ გასაღებასთან დაკავშირებული პრობლემები შეძლებისდაგვარად უნდა გადაიჭრას მოხმარების გაზრდის გზით, ნამეტის რეალიზაცია უნდა ხდებოდეს ორგანიზებულად და ნამეტის განსაკუთრებულ პირობებში გაყიდვის დროს ზიანი არ უნდა მიადგეს წარმოებისა და კომერციული გარიგებების პირობებში წარმოებულ საერთაშორისო ვაჭრობის ნორმალურ სტრუქტურას;

დ) ყოველ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას შეუძლია ყოველწლიური მიმოხილვის შედეგის მიზნისათვის წარუდგინოს საბჭოს ისეთი ინფორმა-

ცია, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია ამ შეთანხმების ამოცანების შეხასრუ-
ლებლად. ამგვარად წარდგენილ ინფორმაციას საბჭო გაითვალისწინებდა.
ველწლიური მიმოხილვის შედეგებისას.

2. ამ მუხლის, აგრეთვე 24 მუხლის მიზნებისათვის საბჭოს სათანადო
ყურადღებას აქცევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასურსათო და
სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობას და სხვა მთავ-
რობათაშორის ორგანიზაციების მუშაობას იმ აზრით, რომ კერძოდ, თავიდან
აიცილოს დუბლირება მუშაობაში, და, 34 მუხლის 1 პუნქტის საერთო დებუ-
ლებებისათვის ზიანის მიუყენებლად, საბჭოს შეუძლია განახორციელოს სა-
სურველი, მისი თვალსაზრისით, თანამშრომლობა ასეთ მთავრობათაშორის
ორგანიზაციებთან თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა დარგებში. საბჭოს შეუ-
ძლია განახორციელოს თანამშრომლობა აგრეთვე გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის ან სპეციალიზებული დაწესებულებების წევრი ქვეყნების მთავ-
რობებთან, რომლებიც არ არიან ამ შეთანხმების მონაწილენი, მაგრამ რომ-
ლებსაც გააჩნიათ არსებითი ინტერესი ხორბლის საერთაშორისო ვაჭრობაში.

3. ამ მუხლში არაფერი არ აყენებს ზიანს რომელიმე ექსპორტიორი ან
იმპორტიორი ქვეყნის მოქმედების სრულ თავისუფლებას საშინაო სასოფლო-
სამეურნეო პოლიტიკის, აგრეთვე საშინაო ფასების პოლიტიკის განსაზღვრასა
და გატარებაში.

მუხლი 24

ხორბლის მოხმარება და გამოყენება

1. როდესაც ეს საჭიროა, საბჭო სწავლობს საშუალებებს, რომლებიც
შესაძლებელს ხდიან გადიდდეს ხორბლის მოხმარება და აცნობებს მათ ექს-
პორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს. ამ მიზნით საბჭოს შეუძლია ექსპორტიორ
და იმპორტიორ ქვეყნებთან თანამშრომლობით განახორციელოს გამოკვლე-
ვები შემდეგ საკითხებზე: ა) ფაქტორები, რომლებიც გააღწეას ახდენენ ხორბ-
ლის მოხმარებაზე სხვადასხვა ქვეყანაში; და ბ) მოხმარების გაფართოების სა-
შუალებები, მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც კონსტატირებულია მოხმარების
გაზრდის შესაძლებლობა.

ყოველ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას შეუძლია წარუდგინოს
საბჭოს ინფორმაცია, რომელიც მას სასარგებლოდ მიაჩნია ამ მიზნის მისაღ-
წევად.

2. ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები აღიარებენ იმ ფაქტს, რომ
განვითარებადი ქვეყნების წინაშე წამოჭრილია განსაკუთრებული პრობ-
ლემები და სათანადოდ ითვალისწინებენ პრინციპს, რომლის თანახმად საჭი-
როა ხორბლის ნამეტი, შეძლებისდაგვარად, ეფექტურად იქნას გამოყენებული
იმ საქმეში, რომ ამალდდეს მოთხოვნილების დონე და ხელი შეეწყოს საერთო
ეკონომიურ ზრდას და ბაზრების გაფართოებას იმ განვითარებად ქვეყნებში,
სადაც დაბალია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე. განსაკუთრებულ

პირობებში ხორბლის ნამეტის გაყიდვისას შესაბამისი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები ვალდებულია კისრულობენ არ მიაყენონ ზიანი წარმოებისა და კომერციული გარიგებების პირობებში წარმოებულ საერთაშორისო ვაჭრობის ნორმალურ სტრუქტურას.

3. ყოველი ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში იძლევა ხორბლის ნამეტს მთავრობის მიერ სუბსიდირებული პროგრამის ფარგლებში, ვალდებულია კისრულობს გადაუდებლად აცნობოს საბჭოს დაწვრილებითი ცნობები ამასთან დადებულ შეთანხმებათა შესახებ და რეგულარულად შეატყობინოს ამ შეთანხმებათა ფარგლებში წარმოებულ მიწოდებაზე.

ნაწილი VI

საერთო ადმინისტრაციული დადგენილებანი

მუხლი 25

საბჭოს შექმნა

1. ხორბლის საერთაშორისო საბჭო, შექმნილი ხორბლის შესახებ 1949 წელს დადებული საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, განაგრძობს მოქმედებას ამ შეთანხმების განხორციელების მიზნით; ამასთან მისი შემადგენლობა, უფლებამოსილება და მოვალეობანი განისაზღვრება ამ შეთანხმებით.

2. ყოველი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყანა არის საბჭოს წევრი ხმის უფლებით და შეიძლება წარმოდგენილ იქნას მის სხდომებზე ერთი წარმომადგენლით, მოადგილეებით და მრჩეველებით.

3. საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი თავის სხდომებზე მთავრობათაშორისი ორგანიზაციებიდან თითო წარმომადგენლის მიწვევის შესახებ ხმის უფლების გარეშე.

4. საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს ერთი სასოფლო-სამეურნეო წლის ვადით. თავმჯდომარეს ხმის უფლება არ აქვს, თავმჯდომარის მოადგილესაც ხმის უფლება არ აქვს, როცა ის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს.

5. ყოველი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად საბჭო სარგებლობს უფლებათაშორისობით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მან განახორციელოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მისი მოვალეობანი.

მუხლი 26

საბჭოს უფლებამოსილება და მოვალეობანი

1. საბჭო აწესებს თავის პროცედურის წესებს.

2. საბჭო აწარმოებს ისეთ დოკუმენტაციას, რომელიც საჭიროა ამ შეთანხმების პირობების მიხედვით, აგრეთვე ყოველწლიურ სხვა დოკუმენტაციას, რომელსაც იგი სასურველად მიიჩნევს.

3. საბჭო აქვეყნებს ყოველწლიურ მოხსენებებს, მას შეუძლია გამოაქვეყნოს აგრეთვე ყოველგვარი სხვა ინფორმაცია (კერძოდ, ყოველწლიური მემოხილვის, მისი ნაწილის ან მისი დასკვნების ჩათვლით) საკითხებზე, ზემოთხსენებულ ბიუჯეტში შედიან ამ შეთანხმების გამგებლობის არეში.

4. ამ შეთანხმებით განსაზღვრულ უფლებამოსილებისა და მოვალეობათა გარდა საბჭოს შეუძლია იქონიოს სხვა უფლებამოსილება და შეასრულოს ისეთი სხვა მოვალეობანი, რომელნიც საჭიროა ამ შეთანხმების პირობების შესასრულებლად.

5. ექსპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედისა და იმპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედის უმრავლესობით საბჭოს შეუძლია თავისი ყოველგვარი უფლებამოსილებისა და მოვალეობის დელეგირება.

საბჭოს შეუძლია მიცემული ხმების უმრავლესობით ყოველთვის დაიბრუნოს უკან ასეთი დელეგირებული უფლებამოსილება და მოვალეობანი. 13 მუხლის დებულებათა თანახმად ყოველგვარი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ამ პუნქტის შესაბამისად საბჭოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებისა და მოვალეობის საფუძველზე, საბჭომ უნდა გადასინჯოს რომელიმე ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის თხოვნით საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში. ყოველგვარი გადაწყვეტილება, რომლის გამოც საბჭოს მიერ დაწესებულ ვადებში არ შემოსულა თხოვნა გადასინჯვის შესახებ, სავალდებულოა ყველა ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნისათვის.

6. იმისათვის, რომ დაეხმარონ საბჭოს შეასრულოს ამ შეთანხმებით დაკისრებული მოვალეობანი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები კისრულობენ ვალდებულებას მიაწოდონ საბჭოს სტატისტიკური ცნობები და სხვადასხვა ინფორმაცია, რომელიც სჭირდება მას ამ მიზნებისათვის.

მუხლი 27

ხ მ ე ბ ი

1. ხმების რაოდენობა, რომელიც გააჩნია საბჭოში ექსპორტიორი ქვეყნების შესაბამის დელეგაციებს, აღნიშნულია B დანართში.

2. ხმების რაოდენობა, რომელიც გააჩნიათ საბჭოში იმპორტიორი ქვეყნების შესაბამის დელეგაციებს, აღნიშნულია C' დანართში.

3. ყოველ ექსპორტიორ ქვეყანას შეუძლია რწმუნება მისცეს რომელიმე სხვა ექსპორტიორ ქვეყანას, და ყოველ იმპორტიორ ქვეყანას შეუძლია რწმუნება მისცეს რომელიმე სხვა იმპორტიორ ქვეყანას წარმოადგინოს მისი ინტერესები და განახორციელოს მისი ხმის მიცემის უფლება საბჭოს ერთ ან რამდენიმე სხდომაზე. სათანადოდ გაფორმებული რწმუნებათა გადაცემა უნდა წარედგინოს საბჭოს.

4. თუ საბჭოს რომელიმე სხდომაზე იმპორტიორი ან ექსპორტიორი ქვეყანა არ არის წარმოდგენილი ოფიციალური წარმომადგენლით და არც რწმუნება გადაუცია სხვა ქვეყნისათვის ამ მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად მისი ხმის მიცემის უფლების განსახორციელებლად და თუ რომელიმე სხდომის მომენ-

ტისათვის რომელიმე ქვეყანას დაუჟარგავს ხმის უფლება, ჩამოერთვა იგი ან ხელახლა მოიპოვა იგი ამ შეთანხმების რომელიმე დებულების შესაბამისად. მაშინ ექსპორტიორი ქვეყნების ხმების საერთო რაოდენობა უნდა გაუტოლდეს იმპორტიორი ქვეყნების ხმების საერთო რაოდენობას ამ სხდომაზე, რისთვისაც ექსპორტიორ ქვეყნებში მათი ხმების პროპორციულად მოხდება გადანაწილება.

5. ყოველთვის, როცა რომელიმე ქვეყანა შედის ამ შეთანხმებაში ან მის მონაწილედ აღარ ითვლება, საბჭო ახდენს ხმების გადანაწილებას B ან C დანართში აღნიშნული ქვეყნების ამა თუ იმ ჯგუფის ფარგლებში შესაბამის ჯგუფში შემავალ თითოეული ქვეყნის ხმების რაოდენობის პროპორციულად.

6. არც ერთ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას არ ექნება ერთ ხმაზე ნაკლები ან წილადის სახით გამოსახული ხმა.

მუხლი 28

ა დ გ ი ლ ს ა მ ყ ო ფ ე ლ ი , ს ე ს ი ე ბ ა და ქ ვ ო რ უ მ ი

1. საბჭოს სამყოფელი ადგილი ლონდონია, თუ საბჭო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით.

2. საბჭო შეიკრიბება თითო-თითოჯერ მაინც სასოფლო-სამეურნეო წლის პირველ ნახევარში და სასოფლო-სამეურნეო წლის მეორე ნახევარში და ყოველ სხვა დროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

3. თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სესიას:

a) ხუთი ქვეყნის მოთხოვნით ან

b) ხმების საერთო რაოდენობის სულ ცოტა 10 პროცენტის მფლობელი ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მოთხოვნით, ანდა

c) აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით.

4. დასწრება წარმომადგენლებისა, რომლებსაც გააჩნიათ ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობა, და წარმომადგენლებისა, რომლებსაც გააჩნიათ იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობა, 27 მუხლის შესაბამისად ხმების გადანაწილებამდე სავალდებულოა საბჭოს ყოველ სხდომაზე ქვორუმის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 29

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ნ ი

1. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ შეთანხმებით გათვალისწინებულია სხვა რამ, საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღებიან ხმების უმრავლესობით.

2. თითოეული ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყანა სავალდებულოდ ცნობს თავისთვის საბჭოს ყველა გადაწყვეტილებას, მიღებულს ამ შეთანხმების დებულებათა შესაბამისად.

აღმასრულებელი კომიტეტი

1. საბჭო ქმნის აღმასრულებელ კომიტეტს. აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შედის სულ ბევრი ოთხი ექსპორტიორი ქვეყანა, რომლებსაც ყოველწლიურად აირჩევენ ექსპორტიორი ქვეყნები, და სულ ბევრი რვა იმპორტიორი ქვეყანა, რომლებსაც ყოველწლიურად აირჩევენ იმპორტიორი ქვეყნები. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს საბჭო; საბჭოს შეუძლია დანიშნოს აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილე.

2. აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე და თავის მუშაობას წარმართავს მისი საერთო ხელმძღვანელობით. მას აქვს ისეთი უფლებამოსილება და მოვალეობანი, რომელნიც მკაფიოდ არის განსაზღვრული მისთვის ამ შეთანხმების შესაბამისად, აგრეთვე სხვა უფლებამოსილება და მოვალეობანი, რომელთა დელეგირებაც მისთვის შეუძლია საბჭოს 26 მუხლის 5 პუნქტის თანახმად.

3. აღმასრულებელ კომიტეტში ექსპორტიორ ქვეყნებს აქვთ ხმების საერთო რაოდენობა, რომელიც უდრის იმპორტიორი ქვეყნების ხმების რაოდენობას. ექსპორტიორი ქვეყნების ხმები აღმასრულებელ კომიტეტში განაწილდება მათ შორის შეთანხმებით, მაგრამ არც ერთ ექსპორტიორ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს ექსპორტიორი ქვეყნების ხმების საერთო რაოდენობის ორმოც პროცენტზე მეტი. იმპორტიორი ქვეყნების ხმები აღმასრულებელ კომიტეტში განაწილდება მათ შორის შეთანხმებით, მაგრამ არც ერთ იმპორტიორ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს იმპორტიორი ქვეყნების ხმების საერთო რაოდენობის ორმოც პროცენტზე მეტი.

4. საბჭო ადგენს აღმასრულებელ კომიტეტში კენჭის ყრის პროცედურის წესებს; მას შეუძლია დაადგინოს აღმასრულებელი კომიტეტის პროცედურის წესების ისეთი დებულებანი, როგორსაც ის საჭიროდ მიიჩნევს. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უმრავლესობით, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით საბჭოსათვის ანალოგიური საკითხების განხილვისას.

5. ყოველ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას, რომელიც არ არის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, შეუძლია ხმის უფლების გარეშე მონაწილეობა მიიღოს ყოველი იმ საკითხის განხილვის დროს, რომელსაც კომიტეტი იხილავს, ყველა იმ შემთხვევაში, როცა კომიტეტს მიაჩნია, რომ საკითხი შეეხება ამ ქვეყნის ინტერესებს.

მუხლი 31

ფასების ექვივალენტების კონსულტაციური კომიტეტი

1. საბჭო ქმნის ფასების ექვივალენტების კონსულტაციურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედიან სულ ბევრი ოთხი ექსპორტიორი ქვეყნის და სულ ბევრი ოთხი იმპორტიორი ქვეყნის წარმომადგენლები. კონსულტაციური კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს საბჭო.

2. კონსულტაციური კომიტეტი მუდმივად ადევნებს თვალყურს ბაზრის კონიუნქტურას და, კერძოდ, ხორბლის ფასების მოძრაობას და დაუწყვეტელად ლივ აწვდის ინფორმაციას აღმასრულებელ კომიტეტს ყველა იმ შემთხვევაში, როცა, მისი აზრით, საჭიროა გაკეთდეს განცხადება მაქსიმალური ფასის შესახებ 13 მუხლის თანახმად, ანდა როცა შეიქმნა მდგომარეობა ან მოსალოდნელია შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც აღწერილია 14 მუხლის 1 და 4 პუნქტებში. თავისი მოვალეობის შესრულებისას ამ პუნქტის შესაბამისად კონსულტაციური კომიტეტი მხედველობაში მიიღებს ყოველი ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის ყოველგვარ წარდგინებას.

3. კონსულტაციური კომიტეტი იძლიერა კონსულტაციებს იმ საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ ამ შეთანხმების შესაბამის მუხლებიდან, აგრეთვე სხვა საკითხებზე რომლებსაც საბჭო ან აღმასრულებელი კომიტეტი გადასცემს მას განსახილველად.

მუხლი 32

ს ა მ დ ი ე ნ ო

1. საბჭოს გააჩნია სამდივნო; სამდივნოს შემადგენლობაში შედის აღმასრულებელი მდივანი, უფროსი თანამდებობის პირი, და თანამშრომელთა ისეთი შტატი, რომელიც საჭიროა საბჭოს და მისი კომიტეტების მუშაობის საწარმოებლად.

2. საბჭო ნიშნავს აღმასრულებელ მდივანს; იგი პასუხისმგებელია ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებით სამდივნოზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის, და სხვა სამუშაოს შესრულებისათვის, რომელსაც დაავალებს მას საბჭო ან მისი კომიტეტები.

3. სამდივნოს თანამშრომლებს ნიშნავს აღმასრულებელი მდივანი საბჭოს მიერ დადგინილი წესების შესაბამისად.

4. აღმასრულებელი მდივნის და სამდივნოს თანამშრომლების დანიშვნის პირობას წარმოადგენს ის, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ მატერიალური დაინტერესება ხორბლით გაჭრობის დარგში ან, თუ ასეთი დაინტერესება აქვთ, ხელი უნდა აიღონ მასზე, აგრეთვე უნდა იკისრონ ვალდებულება არ მოითხოვონ ან არ მიიღონ რომელიმე მთავრობისაგან ან რომელიმე ორგანოსაგან, რომლებსაც საბჭოსთან არ აქვთ დამოკიდებულება, ინსტრუქციები ამ შეთანხმებით მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შესახებ.

მუხლი 33

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

1. საბჭოს შემადგენლობაში შემავალი დელეგაციების, აღმასრულებელ კომიტეტში შემავალი წარმომადგენლების და ფასების ექვივალენტების კონსულტაციურ კომიტეტში შემავალი წარმომადგენლების ხარჯებს ფარავენ მათი შესაბამისი მთავრობები. ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ-



ლი სხვა ხარჯები იფარება ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ყოველწლიური შესატანების გზით. თითოეული სასოფლო-სამეურნეო წლის ყოველი მონაწილე ქვეყნის შესატანი განისაზღვრება შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო წლის დამდგეს მისი ხმების რაოდენობის პროპორციულად.

2. თავის პირველ სესიაზე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ საბჭო ამტკიცებს ბიუჯეტს 1963 წლის 31 ივლისამდე პერიოდისათვის და აწესებს ყოველი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნისათვის შესატანის ოდენობას.

3. სესიაზე, რომელიც ტარდება თითოეული სასოფლო-სამეურნეო წლის მეორე ნახევარში, საბჭო ამტკიცებს თავის შემდეგი სასოფლო-სამეურნეო წლის ბიუჯეტს და აწესებს ყოველი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნის შესატანების ოდენობას ამ სასოფლო-სამეურნეო წლისათვის.

4. პირვანდელ შესატანს ყოველი ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნისას, რომელიც შეუერთდა ამ შეთანხმებას 35 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო აწესებს იმ ხმების რაოდენობის საფუძველზე, რომელიც ექნება ამ ქვეყანას, და იმ ვადის საფუძველზე, რომელიც დარჩენილია მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წლის გასვლამდე; ამასთან სხვა ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნების შესატანები, დაწესებულნი მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წლისათვის, უცვლელად რჩება.

5. შესატანი გადახდილი უნდა იქნას დაუყოვნებლივ მათი დაწესების შემდეგ. ყოველი ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა, რომელსაც არ გადაუხდია თავისი შესატანი ერთი წლის განმავლობაში მისი დაწესების მომენტიდან, კარგავს ხმის უფლებას შესატანის გადახდამდე, მაგრამ არ თავისუფლდება ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან და არ ერთმევა ამ შეთანხმებით მინიჭებული თავისი უფლებები, თუ საბჭო ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით არ გადაწყვეტს სხვა რაიმეს.

6. ყოველ სასოფლო-სამეურნეო წელს საბჭო აქვეყნებს გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შენატანების და გასავლის საბუღალტრო ანგარიშს.

7. საბჭოს ადგილსამყოფელი ქვეყნის მთავრობა ათავისუფლებს დაბეგრისაგან ჯამაგირს, რომელსაც საბჭო უხდის თავის თანამშრომლებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საბჭოს თანამშრომლებად არიან ამ ქვეყნის მოქალაქენი. იგი ათავისუფლებს აგრეთვე გადასახადის შეწერისაგან საბჭოს აქტივებს, შემოსავალს და სხვა საკუთრებას.

8. თავისი საქმიანობის შეწყვეტის წინ საბჭო იღებს სათანადო ზომებს თავისი ვალდებულებების, აგრეთვე თავისი დოკუმენტაციისა და აქტივების სალიკვიდაციოდ.

მუხლი 34

თანამშრომლობა სხვა მთავრობათაშორის
ორგანიზაციებთან

1. საბჭოს შეუძლია მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომლებსაც ის სასურველად მიიჩნევს კონსულტაციების ჩასატარებლად და თანამშრომლობის

გასახორციელებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოებთან და მის სპეციალიზებულ დაწესებულებებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

2. თუ საბჭო მიიჩნევს, რომ ამ შეთანხმების რომელიმე პირობა თავისი ხასიათით შეუთავსებელია იმ მოთხოვნებთან, როგორც შეიძლება დააწესოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მისმა შესაბამისმა ორგანოებმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებებმა მთავრობათაშორის სასაქონლო შეთანხმებების შესახებ, მაშინ ასეთი შეუსატყვისობა ჩაითვლება გარემოებად, რომელიც ხელს უშლის ამ შეთანხმების განხორციელებას, და ამ შემთხვევაში გამოიყენება 36 მუხლის 3, 4 და 5 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურა.

ნაწილი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 35

ხელის მოწერა, რატიფიკაცია, შემოერთება და ძალაში შესვლა

1. B და C დანართებში აღნიშნული მთავრობები ამ შეთანხმებას ხელმოსაწერად გახსნიან ვაშინგტონში 1962 წლის 19 აპრილიდან 1962 წლის 15 მაისამდე ჩათვლით.

2. ამ შეთანხმების რატიფიკაცია უნდა მოახდინონ მთავრობებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს მას, მათი ქვეყნების საკონსტიტუციო წესების შესაბამისად. ამ მუხლის 8 პუნქტის დებულებათა თანახმად რატიფიკაციის აქტები უნდა ჩაბარდეს შესაძლებლად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა უგვიანეს 1962 წლის 16 ივლისისა.

3. ეს შეთანხმება ხსნილია შემოსაერთებლად B და C დანართებში აღნიშნული ყოველი ქვეყნის მთავრობისათვის. ამ მუხლის 6 პუნქტის დებულებათა თანახმად შემოერთების აქტები უნდა ჩაბარდეს შესაძლებლად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა უგვიანეს 1962 წლის 16 ივლისისა. მიუხედავად ამისა ყოველ ასეთ მთავრობას, თუ მისთვის 8 პუნქტის თანახმად ვადა არ გაუზრძელებიათ და ყოველ შემთხვევაში 1962 წლის 16 ივლისის შემდეგ, შეუძლია შემოუერთდეს ამ შეთანხმებას 4 პუნქტის შესაბამისად.

4. საბჭოს შეუძლია ექსპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედით დაამტკიცოს ამ შეთანხმების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სპეციალიზებული დაწესებულებების წევრი ყოველი სახელმწიფოს მთავრობის შემოერთება ან ყოველი მთავრობის შემოერთება, რომელიც 1962 წელს მოწვეული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე სტრასბურგის შესახებ, და განსაზღვროს ასეთი შემოერთების პირობები; ამ შემთხვევაში 12 და 15 მუხლების თანახმად საბჭო აწესებს შესაბამის საბაზისო რაოდენობას. შემოერთება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შესაძლებლად გადაეცემა შემოერთების აქტი.



5. ამ შეთანხმების I ნაწილი და III-VII ნაწილები ძალაში შედის 1962 წლის 16 ივლისს, ხოლო II ნაწილი — 1962 წლის 1 აგვისტოს იმ მთავრობების მიმართ, რომლებიც ამ თარიღისათვის ჩააბარებენ შესანახად რატიფიკაციის აქტებს ანდა ამ მუხლის 2 ან 3 პუნქტის შესაბამისად შემოუერთდებიან შეთანხმებას, იმ პირობით, რომ ამ მთავრობებს ექნებათ ექსპორტიორი ქვეყნების ხმების სულ ცოტა ორი მესამედი და იმპორტიორი ქვეყნების ხმების სულ ცოტა ორი მესამედი, B და C დანართებით გათვალისწინებული ხმების განაწილების თანახმად. შეთანხმება ძალაში შევა ყოველი მთავრობის მიმართ, რომელიც მოახდენს მის რატიფიკაციას ან შემოუერთდება მას შემდგომში იმ დღეს როცა შესანახად ჩააბარებს რატიფიკაციის ან შემოერთების აქტს.

6. ამ შეთანხმების ძალაში შესვლია ითვებისათვის ამ მუხლის 5 პუნქტის შესაბამისად ნოტიფიკაცია ყოველი იმ მთავრობის მხრივ, რომელმაც ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას, ან იმ მთავრობის მხრივ, რომელსაც 3 პუნქტის თანახმად უფლება აქვს შემოუერთდეს ამ შეთანხმებას, ნოტიფიკაცია, რომელიც შეიცავს ვალდებულებას, რომ რაც შეიძლება მალე მოხდება ამ შეთანხმების რატიფიკაცია ან შემოერთება კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, და რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს 1962 წლის 16 ივლისს მაინც, — ასეთი ნოტიფიკაცია ითვლება რატიფიკაციის ან შემოერთების აქტის ტოლმნიშვნელოვნად. ამასთან იგულისხმება, რომ ასეთი ნოტიფიკაციის მომხდენი მთავრობა წინასწარი წესით დაიცავს ამ შეთანხმებას და პირობითად მიჩნეული იქნება როგორც მისი მონაწილე ან მანამდე, სანამ ის 2 ან 3 პუნქტის თანახმად შესანახად არ ჩააბარებს რატიფიკაციის ან შემოერთების აქტს, ანდა იმ პერიოდის გასვლამდე, რომლის განმავლობაშიც ასეთი აქტი უნდა ჩაბარებულ იქნას შესანახად.

7. თუ 1962 წლის 16 ივლისამდე არ არის შესრულებული ამ შეთანხმების სამოქმედოდ შემოღების შესახებ 5 და 6 პუნქტებში აღნიშნული პირობები, მაშინ იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებმაც ამ თარიღისათვის მიიღეს ან რომლებიც ამ თარიღისათვის შემოუერთდნენ ამ შეთანხმებას ამ მუხლის 2 ან 3 პუნქტის შესაბამისად, შეუძლიათ გადაწყვიტონ ურთიერთთანხმობით, რომ იგი ძალაში შევა მათ მიმართ, ან მათ შეუძლიათ მიმართონ რაიმე სხვა მოქმედებას, რომელიც, მათი აზრით, საჭიროა შექნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

8. ყოველ მთავრობას, რომელმაც 1962 წლის 16 ივლისისათვის არ მოახდინა ამ შეთანხმების რატიფიკაცია ან არ შემოუერთდა მას ამ მუხლის 2 ან 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს შეუძლია გაუგრძელოს რატიფიკაციის ან შემოერთების აქტის შესანახად ჩაბარების ვადა დროის ყოველი პერიოდით 1963 წლის 16 ივლისამდე ჩათვლით.

9. იმ შემთხვევებში, როცა ამ შეთანხმების განხორციელების მიზნებისათვის იმოწმებენ B და C დანართებში ჩამოთვლილ ქვეყნებს, ყოველი ქვეყანა, რომლის მთავრობაც შემოუერთდა ამ შეთანხმებას ამ მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად საბჭოს მიერ განსაზღვრულ პირობებში, მიჩნეული იქნება როგორც შესაბამის დანართში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ქვეყანა.

10. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეატყობინებს ყველა მთავრობას, რომელმაც ხელი მოაწერა ან რომელიც შემოუერთდა შეთანხმებას, შეთანხმების ხელის მოწერის, რატიფიკაციის ან მისი შემოერთების ველ შემთხვევას და ყველა ნოტიფიკაციას, რომელიც მოხდება ამ მუხლის 6 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 86

მოქმედების ვადა, ცვლილება და გასვლა

1. ეს შეთანხმება ძალაში რჩება 1965 წლის 31 ივლისამდე ჩათვლით.
2. მაშინ, როცა საბჭო საჭიროდ ჩათვლის, ის აცნობებს ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს თავის რეკომენდაციებს ამ შეთანხმების განახლების ან შეცვლის შესახებ. საბჭოს შეუძლია მოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სპეციალიზებული დაწესებულებების წევრი სახელმწიფოს ყოველი მთავრობა, რომელიც ამ შეთანხმების მონაწილე არ არის, მაგრამ არსებითად დაინტერესებულია ხორბლის საერთაშორისო ვაჭრობით, მონაწილეობა მიიღოს ყოველგვარ განხილვაში, რომელსაც მოაწყობს საბჭო ამ პუნქტის თანახმად,
3. საბჭოს შეუძლია ექსპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების უმრავლესობით რჩევა მისცეს ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შეიტანონ ცვლილება ამ შეთანხმებაში.
4. საბჭოს შეუძლია დააწესოს დრო, რომლის განმავლობაშიც ყოველმა ექსპორტიორმა და იმპორტიორმა ქვეყანამ უნდა აცნობოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, მიიღებს ასეთ ცვლილებას იგი თუ არა. ცვლილება ძალაში შედის, თუ მას მიიღებენ ექსპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედით და იმპორტიორი ქვეყნების ხმების ორი მესამედით.
5. ყოველ ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას, რომელმაც არ აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მან მიიღო ცვლილება, იმ თარიღისათვის, როცა ასეთი ცვლილება ძალაში შედის, შეუძლია გავიდეს ამ შეთანხმებიდან სასოფლო-სამეურნეო წლის მიწურულს მას შემდეგ, რაც ის წერილობით შეატყობინებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, როგორც საბჭოს შეუძლია ეს მოითხოვოს; მაგრამ ამით ასეთი ქვეყანა არ თავისუფლდება ამ შეთანხმებით ნაკისრ ყველა იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც მას არ შეუსრულებია ამ სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში. ყოველ ასეთ ქვეყანაზე, რომელიც გადის შეთანხმებიდან, არ ვრცელდება შესწორების დებულებანი, რომელთაც განაპირობებს მისი გასვლა.
6. ყოველ ექსპორტიორ ქვეყანას, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ინტერესები სერიოზულად შელახულია, რადგან C დანართში მოხსენიებული რომელიმე ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხმების სულ ცოტა ხუთი პროცენტი მაინც ამ დანართის თანახმად, არ მონაწილეობს ამ შეთანხმებაში, ან ყოველ იმპორტიორ ქვეყანას, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ინტერესები სერიოზულად შელახულია, რადგან B დანართში მოხსენიებული რომელიმე ქვეყანა, რომელსაც გააჩ-

ნია ხმების სულ ცოტა ხუთი პროცენტი მაინც ამ დანართის თანახმად, მონაწილეობს ამ შეთანხმებაში, შეუძლია გავიდეს ამ შეთანხმების ლეთა შემადგენლობიდან, რისთვისაც 1962 წლის 1 აგვისტომდე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას წერილობით უნდა აცნობოს თავისი გასვლა. თუ საბჭოს მიერ 35 მუხლის 8 პუნქტის თანახმად ვადა გაგრძელებული იყო, ამ პუნქტის შესაბამისად შეტყობინება გასვლის შესახებ შეიძლება გაიგზავნოს საბჭოს მიერ გაგრძელებული ვადის შემდეგ 14 დღის განმავლობაში.

7. თუ რომელიმე ექსპორტიორ ან იმპორტიორ ქვეყანას მიაჩნია, რომ მისი ეროვნული უშიშროებისათვის არსებობს საფრთხე სამხედრო მოქმედებათა გამო, მაშინ მას შეუძლია გავიდეს ამ შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობიდან, რისთვისაც 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას თავის გასვლას, ან მას შეუძლია ჯერ მიმართოს საბჭოს თხოვნით შეაჩეროს ნაწილობრივ ან მთლანად ამ შეთანხმებით ნაკისრი მისი ვალდებულებანი.

8. ყოველ ექსპორტიორ ქვეყანას, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ინტერესები სერიოზულად არის შელახული, რადგან ამ შეთანხმებიდან გავიდა C დანართში მოხსენიებული რომელიმე ქვეყანა, რომელსაც ამ დანართის მიხედვით გააჩნია ხმების სულ ცოტა ხუთი პროცენტი მაინც, და ყოველ იმპორტიორ ქვეყანას, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ინტერესები სერიოზულად არის შელახული, რადგან ამ შეთანხმებიდან გავიდა B დანართში მოხსენიებული რომელიმე ქვეყანა, რომელსაც ამ დანართის მიხედვით გააჩნია ხმების სულ ცოტა ხუთი პროცენტი მაინც, შეუძლია გავიდეს ამ შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობიდან, რისთვისაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას წერილობით შეატყობინებს თავის გასვლას 14 დღის განმავლობაში მონაწილეთა შემადგენლობიდან იმ ქვეყნის გასვლის შემდეგ, რომლის მოქმედებაც განიხილება ინტერესების ასეთი სერიოზული დარღვევის მიზეზად.

9. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცნობებს ყველა მთავრობას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას ან შემოუერთდა მას, ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ თითოეულ ნოტიფიკაციას და შეტყობინებას.

მუხლი 87

ტერიტორიული გამოყენება

1. თითოეულ მთავრობას, რომელიც ხელს მოაწერს ამ შეთანხმებას, მოახდენს მის რატიფიკაციას ან შემოუერთდება მას, შეუძლია განაცხადოს, რომ მისი უფლებები და ვალდებულებები შეთანხმების მიხედვით არ ვრცელდება მეტროპოლიის გარეთ მდებარე ყველა ტერიტორიაზე ან რამდენიმე მათგანზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობისათვის იგი პასუხისმგებელია.

2. იმ ტერიტორიების გამოწვევით, რომელთა მიმართაც გაკეთებულია განცხადება ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ყოველი მთავრობის უფლებები და ვალდებულებები ამ შეთანხმების მიხედვით გამოიყენება მეტროპოლიის გარეთ მდებარე ყველა ტერიტორიის მიმართ, რომლის საერთაშორისო ურთიერთობისათვის იგი პასუხისმგებელია.

3. ყოველ მთავრობას შეუძლია ყოველ დროს ამ შეთანხმების მიღების შემოერთების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შეტყობინების გზით განაცხადოს, რომ მისი უფლებები და ვალდებულებანი შეთანხმების მიხედვით ვრცელდება მეტროპოლიის გარეთ მდებარე ყველა ან რამდენიმე ტერიტორიაზე, რომლის მიმართაც მან გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

4. ყოველ მთავრობას შეუძლია გასვლის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის შეტყობინების მეშვეობით გავიდეს ამ შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობიდან მეტროპოლიის გარეთ მდებარე ყველა ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობისთვის იგი პასუხისმგებელია.

5. 15 მუხლის თანახმად საბაზისო რაოდენობის დაწესებისა და 27 მუხლის თანახმად ხმების გადაწილების მიზნებისათვის ყოველი ცვლილება ამ შეთანხმების გამოყენებაში ამ მუხლის შესაბამისად მიჩნეული იქნება როგორც ცვლილება, მომხდარი ამ შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობაში, და განხორციელდება წესით, რომელიც უპასუხებს კონკრეტულ ვითარებას.

6. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცნობებს ყველა მთავრობას, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას ან შემოუერთდა მას, ყველა განცხადებას და შეტყობინებას, კავთებულს ამ მუხლის თანახმად.

რის დასადასტურებლად ქვემოთ ხელისმომწერებმა, რწმუნებებით სათანადოდ აღჭურვილებმა თავისი შესაბამისი მთავრობებისაგან, ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას მათი ხელმოწერის პირდაპირ აღნიშნულ დღეებში.

ამ შეთანხმების ტექსტები ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე აუთენტური არიან. დედნები შესანახად ჩაბარდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც შემოწმებულ ასლს უგზავნის ხელმომწერ ან შემოერთებულ თითოეულ მთავრობას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის მაგიერ

1962 წლის 14 მაისი.

ბ. ლობრინინი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ინფორმაციას ხორბლის მსოფლიო ბაზრის ყოველწლიური მიმოხილვის შესადგენად წარადგენს იმ სტატისტიკური ცნობების ფარგლებში, რომლებიც ქვეყნდება ამ ქვეყანაში, ხოლო ინფორმაციას იმ ქვეყნებთან კომერციული და სპეციალური გარიგებების შესახებ, რომლებიც არ

მონაწილეობენ შეთანხმებაში, მხოლოდ შესაბამისი ქვეყნების თანხმობის შემთხვევაში.

საქართველოს
ბიბლიოთეკა

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა ხორბლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაცია 1962 წლის 7 ივლისს იმ დამატებითი შენიშვნით, რომელიც გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერის დროს.

იმპორტიორი ქვეყნების პროცენტული ვალდებულებანი

ავსტრია	60
ბელგია და ლუქსემბურგი	90
ბრაზილია	30
ვატიკანი	100
ვენესუელა	60
დომინიკელთა რესპუბლიკა	90
ისრაელი	60
ინდოეთი	70
ინდონეზია	70
ირანი	80
ირლანდია	90
კუბა	90
კორეის რესპუბლიკა	90
ნიდერლანდების სამეფო	90
ლიბერია	70
ლივია	70
ახალი ზელანდია	90
ნიგერია	80
ნორვეგია	90
არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა	30
პოლონეთი	50
პორტუგალია	85
საუდიის არაბეთი	70
შვედეთი	90
როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაცია	90
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	87 1/2
ფილიპინები	80
ცეილონი	80
შვეიცარია	87
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	90
იაპონია	85

ექსპორტიორი ქვეყნების ხშები

არგენტინა	70
ავსტრალია	125
იტალია	10
ესპანეთი	5
კანადა	290
მექსიკა	5
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი									125
ამერიკის შეერთებული შტატები	290
საფრანგეთი	70
შვეცია	10
<hr/>									
ს უ ლ									1000

იმპორტიორი ქვეყნების ხმები

ავსტრია	6
ბელგია და ლუქსემბურგი	33
ბრაზილია	28
ვატიკანი	1
ვენესუელა	14
დომინიკელთა რესპუბლიკა	2
ინდოეთი	20
ინდონეზია	6
ირანი	4
ირლანდია	11
ისრაელი	6
კუბა	12
კორეის რესპუბლიკა	2
ნიდერლანდების სამეფო	70
ლიბერია	1
ლივია	3
ახალი ზელანდია	14
ნიგერია	4
ნორვეგია	18
არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა	16
პოლონეთი	10
პორტუგალია	9
საუდიის არაბეთი	5
შვედეთი	339
შვეიცარიის სამეფო	139
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	6
როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაცია	22
ფილიპინები	12
ცეილონი	23
შვეიცარია	10
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	154
იაპონია	

ს უ ლ . . . 1000

404 სახელმწიფოებას უორის ოფიციალურ გამოცემათა და კონვენციის და გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის თაობაზე დადებული კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი კონვენცია სახელმწიფოებს შორის ოფიციალურ გამოცემათა და მთავრობის დოკუმენტთა გაცვლის შესახებ და კონვენცია გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის შესახებ, რომლებიც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ 1958 წლის 3 დეკემბერს მიიღო პარიზში, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 11 სექტემბერი.
№ 461-VI.

405 „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაწესებული მედლის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაწესებული მედლის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:
„მედლით აგრეთვე შეიძლება დაჯილდოვდნენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრები და სხვა მოქალაქეები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და ამასთან გამოიჩინეს მამაცობა და თავგანწირულება“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 სექტემბერი.
№ 469-VI.



40 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
წი 406 ვერტმფრინავების მთავარი კონსტრუქტორის ა. მ. ნ. კამოვის
ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ვერტმფრინავების მშენებლობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ვერტმფრინავების მთავარი კონსტრუქტორი ა. მ. ნიკოლოზ ილიას ძე კამოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 12 სექტემბერი.
№ 468-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
407 ი. თ. ჩიგირინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების
შესახებ

ორი საბჭოთა აღამიანის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის იული თევდორეს ძე ჩიგირინი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 სექტემბერი.
№ 474-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
408 მწერალ მ. დ. შოშინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების
შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების გათვალისწინებით და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი მიხეილ დიმიტრის ძე შოშინი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 15 სექტემბერი.
№ 476-VI.



409

ლატვიის სსრ მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის
ა. მ. კირხენშტეინის შრომის წითელი დროშის ორდენით და-
ჯილდოების შესახებ

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისა და მრავალი წლის
ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცდაათი
წლისთავთან დაკავშირებით ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი
წევრი აგგუსტ მარტინის ძე კირხენშტეინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი
დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 17 სექტემბერი.

№ 477-VI.

410

ამხ. ს. ა. აფანასიევის შრომის წითელი დროშის ორდენით
დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი
წლისთავთან დაკავშირებით ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლე-
ბიანი ელჩი ამხ. სერგი ალექსის ძე აფანასიევი დაჯილდოვდეს შრომის წითელი
დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 18 სექტემბერი.

№ 478-VI.

411

შარბინის სსრ მცენიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. პ. ჩაქ-
მარიძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების
შესახებ

შავი მეტალურგიის განვითარებაში დამსახურებისა და ნაყოფიერი პედა-
გოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე პეტრეს ძე ჩეკმარიოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორაპაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 18 სექტემბერი,

№ 482-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

1962 წლის 4-დან 8 სექტემბრამდე მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომები სხდომებზე მოისმინეს სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლების, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური საბჭოს, აგრეთვე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებები ეკონომიური კომისიის იმ შენიშვნებისა და წინადადებების გამო მიღებული ზომების შესახებ, რომლებიც შემოიტანეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის განხილვის დროს.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, კულტურის ქვეკომისიებში, აგრეთვე ეკონომიური კომისიის პლენარულ სხდომებზე დიდი ყურადღება მიექცა კომისიის იმ წინადადებათა შესრულების შემოწმებას, რომლებიც ეხებიან ისეთ საკითხებს, როგორც არის ელექტროფიკაცია; კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია მრეწველობაში; მინერალური სასუქების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების წარმოების გადიდება; წყალთა მეურნეობის მშენებლობა და ამოშრობილი და სარწყავი მიწების გამოყენება; სახალხო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო-კომუნალური მშენებლობა; საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარება.

ამ საკითხების განხილვის შედეგად კომისიამ აღნიშნა, რომ მეტი წილი წინადადებების გამო სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა მიიღეს სათანადო ზომები. მრავალი ეს წინადადება ხორციელდება.

ამასთანავე ეკონომიურმა კომისიამ სათანადო ორგანოების ყურადღება მიექცია იმას, რომ ზოგიერთ საკითხზე კომისიის წინადადებებმა ვერ ჰპოვეს ჯეროვანი გადაწყვეტა. ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკები მთლიანად არ იყენებენ მათთვის გამოყოფილ კაპიტალური მშენებლობის თანხებს. მაგალითად, 1962 წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა არადაამაყავოფილებლად სრულდება: ელექტროსადგურების მშენებლობის ხაზით — თურქ-



მენეთის სს რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და მოლდოვის სს რესპუბლიკაში; მინერალური სასუქების საწარმოთა მშენებლობის ხარისხის ამაღლებას რუსეთის სფს რესპუბლიკის რიგ ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებსა და უზბეკეთის სს რესპუბლიკაში; სასკოლო მშენებლობის ხარისხით — სომხეთის სს რესპუბლიკასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში.

ეკონომიურმა კომისიამ მიუთითა სათანადო ორგანოებს, რომ საქიროთა მიიღონ ზომები კომისიის წინადადებათა რეალიზაციისათვის.

კომისიის სხდომებზე გამოთქვეს ბევრი დამატებითი წინადადება და რეკომენდაცია, მიმართული 1962 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

412 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური სამინისტროდ.

2. საქიროდ ჩაითვალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებად გარდაქმნა.

3. გარდაიქმნას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გულდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1962 წლის 19 სექტემბერი.

413 საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად ამახ. ო. ა. ქავთარაძის დანიშვნის შესახებ



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამახ. ოთარ ალექსანდრეს ძე ქავთარაძე საქართველოს სსრ სა-
ზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1962 წლის 19 სექტემბერი.